

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

შოთა შუბითიძე



ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საკითხები

სააქციო საზოგადოება „თელიანი ველის“ მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინინისტრირების მაგისტრის

აკადამიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასისტენტ პროფესორი ლია კოზმანაშვილი

ანოტაცია

მაგისტრანტი: შოთა შუბითიძე

სამაგისტრო ნაშრომის სათაური: ფინანსური ანალიზის საკითხები სააქციო საზოგადოება „თელიანი ველის“ მაგალითზე.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მნიშვნელოვან საკითხებს და პრაქტიკული ნაწილიში კი განხილულია სააქციო საზოგადოება „თელიანი ველის“ 2017 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

ნაშრომის პირველ თავში თეორიულად ახსნილია ფინანსური ანგარიშგების ძირითადი შემდგენელი კომპონენტები და ელემენტები, ასევე განმარტებულია მნიშვნელოვანი ფინანსური ტერმინები.

ნაშრომის მეორე თავი დათმობილი აქვს ფინანსური ანალიზის არსის თეორიულ განმარტებას, ხოლო შემდეგ განხილულია სს „თელიანი ველის“ ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზის მეთოდის გამოყენებით. საბაზისო მაჩვენებლად აღებულია 2016 წლის 1 იანვარი, ხოლო შესადარისად 2016 და 2017 წლის 31 დეკემბერი. ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკაში განხილვამ უფრო ნათლად წარმოადგინა საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

ნაშრომის მესამე თავი მიძღვნილი აქვს ფინანსური ანალიზის ჩასატარებლად საჭირო კოეფიციენტების ახსნასა და მათი გამოყენების მიზნებს. ამავე თავში შეფასებულია სს „თელიანი ველის“ ლიკვიდურობა, ფინანსური სტაბილურობა, საქმიანი აქტივობა და მომგებიანობა.

დასკვნით ნაწილში აღწერილია ყველა ის შედეგი, რომელიც სს „თელიანი ველის“ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცეს შედეგად გამოვლინდა, ასევე მაგისტრანტის მიერ გაცემულია რეკომენდაციები საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გამჯობესების საკითხთან დაკავშირებით.

ბოლო ნაწილში წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული ლიტერატურა.

Annotation

Student on master's degree course: Shota Shubitidze

Name of research paper: Issues of analysis of financial statements of joint-stock company "Teliani Valley"

Student's research paper is about significant aspects of analysis of financial statements. Practical part of paper is about analyzing financial statements of 2017 year of JSC "Teliani Valley".

In the First chapter of paper is defined components and elements of financial statements and also explained important financial terms.

The second chapter of paper is about theory of financial analysis and then is conducted horizontal and vertical analyze of financial statements of JSC "Teliani Valley". During the analyze process, results of 2017 and 2016 years were compared to results of basic year - 1 January of 2016. Reviewing in dynamic of economic results, gave vast view of entity's financial position.

The third part of paper is about financial ratios which are used during the process of analyze. Then I assessed liquidity, financial stability, activity and profitability of JSC "Teliani Valley".

In the conclusion are represented all significant results of analyze. Also are given recommendations by student about improving entity's financial position.

In the last part there are mentioned all used literature which was used during the working process.

სარჩევი

შესავალი	1
თავი 1. ფინანსური ანგარიშგების არსი, კომპონენტები და ელემენტები	
1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი, მიზანი და მომხმარებლები	4
1.2 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ელემენტები	10
1.3 ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პრინციპები და ხარისხობრივი მახასიათებლები	21
თავი 2. ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი	
2.1 ფინანსური ანალიზის არსი მიზანი და მეთოდები	29
2.2 სს „თელიანი ველის“ ფინანსური მდგომარეობის ვერტიკალური ანალიზი	36
2.3 სს „თელიანი ველის“ ფინანსური მდგომარეობის ჰორიზონტალური ანალიზი	41
თავი 3. ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტური ანალიზი	
3.1 ფინანსური კოეფიციენტების არსი	47
3.2 სს „თელიანი ველის“ ლიკვიდურობის შეფასება	51
3.3 სს „თელიანი ველის“ სტაბილურობისა და მომგებიანობის შეფასება ფინანსური სტაბილურობის შეფასება	56
3.4 სს „თელიანი ველის“ საქმიანი აქტივობის შეფასება	73
დასკვნა	79
დანართი	81
გამოყენებული ლიტერატურა	86

შესავალი

თემის აქტუალობა

თანამედროვე მსოფლიოში უამრავი ინვესტორია, რომლებსაც სურთ სხვადასხვა საწარმოში ინვესტიციის განხორციელება, თავიანთი წილების გაყიდვა, ან შენარჩუნება. მსგავსი ტიპის მნიშვნელოვანი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღვის ინვესტორების მიერ კონკრეტული საწარმოს აუდირებული ფინანსური ანგარიშგების ანალიზი. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი იძლევა საშუალებას, დინამიკაში შეფასდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მომგებიანობა, გადახდისუნარიანობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ინვესტორებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას გაუდვილებს.

საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება, ამიტომ საინტერესოა ამ დარგში მოღვაწე კომპანიების ფინანსური მდგომარეობის შეაფასება. სააქციო საზოგადოება „თელიანი ველი“ კი სოფლის მეურნეობის დარგში მოღვაწე ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზნად შეირჩა აღნიშნული კომპანიის 2017 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ანალიზი.

მიზნები

ნაშრომის თეორიული ნაწილის მიზანია ფინანსური ანგარიშგების ანალიზთან დაკავშირებული თეორიის მიმოხილვა, ანალიზისთვის საჭირო მეთოდების განხილვა და მნიშვნელოვანი კოეფიციენტების დახასიათება.

პრაქტიკული ნაწილი მიზნად ისახავს სააქციო საზოგადოება „თელიანი ველის“ 2017 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გაანალიზებას, მიღებული მაჩვენებლების შედარებას 2016 წლის საწყის და საბოლოო პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებთან. შესადარისობა საშუალებას იძლევა დინამიკაში უფრო ნათლად წარმოჩინდეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, კეთდება დასკვნები და გაიწევა კომპანიის ფინანსური საკითხების გაუმჯობესებისთვის საჭირო რეკომენდაციები.

დასმული ამოცანების შინაარსი

ნაშრომზე მუშაობისას წამოიჭრა ფინანსური ანალიზის ჩატარებისთვის საჭირო თეორიული მასალის მოძიების ამოცანა, რომელიც გადაიჭრა სხვადასხვა სამეცნიერო ნამუშევრების, წიგნებისა და სტატიების მოძიების გზით.

მნიშვნელოვანი საკითხი იყო კვლევის ობიექტის შერჩევა. შერჩევის პროცესი დავუკავშირე საქართველოს ეკონომიკისთვის აქტიუალურ საკითხებს და რადგან სოფლის მეურნეობის სფერო საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, აქედან გამომდინარე, შევარჩიე ამ დარგში მოღვაწე ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანია – სააქციო საზოგადოება „თელიანი ველი“.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის ობიექტია სააქციო საზოგადოება „თელიანი ველი“, რომელიც დაფუძნდა 1997 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა ყურძნის მოშენება და საკუთარი წარმოების ალკოჰოლური სასმელების წარმოება. კომპანიის ოფიციალური მისამართია, საქართველო, თელავი, თბილისის გზატკეცილი #3. მისი ჩვეულებრივი აქციები კოტირებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

კომპანიას წარდგენილი აქვს 2017 წლის აუდირებული ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მაგრამ იმისათვის, რომ ღვინის წარმოების სფეროში უფრო ნათლად გამეანალიზებინა კომპანიის ოპერირების შედეგები, კვლევის საგნად ავირჩიე ინდივიდუალური ანგარიშგება.

კვლევისთვის გამოყენებული მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებულია ფინანსური ანალიზისთვის საჭირო მეთოდები მათ შორის: ვერიტკალური, ჰორიზონტალური და კოეფიციენტური ანალიზი.

კვლევის შედეგები შედარებულია წინა საანგარიშგებო პერიოდის მონაცემებთან, აგებულია დინამიკური გრაფიკები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომის სიახლე

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ კვლევისას გამოყენებულია ფინანსური ანალიზისთვის საჭირო თანამედროვე მეთოდოლოგია და ანალიზის საგანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან სფეროში – სოფლის მეურნეობის დარგში მოღვაწე კომპანია – სს „თელიანი ველის“ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება, ხოლო ანალიზის პროცესში გამოყენებული ყველა საჭირო ფინანსური კოეფიციენტი და მათი დინამიკური ცვლილების შესახებ აგებულია გრაფიკები.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები

ნაშრომის შექმნისა და კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულია ქართული და უცხოური ფინანსური ლიტერატურა, მოძიებულია ინფორმაცია ინტერნეტში და საკვლევი ობიექტის ფინანსური ანგარიშგება მოპოვებულია ქართული ოფიციალური ინტერნეტ საიტიდან.

თავი 1. ფინანსური ანგარიშგების არსი, კომპონენტები და ელემენტები

1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი, მიზანი და მომხმარებლები

ფინანსური ანგარიშგების არსი

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზანია ისეთი ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც დაეხმარება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში.

ფინანსური ანგარიშგება შედგება ხუთი კომპონენტისგან:

1. მოგება-ზარალის ანგარიშგება;
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
4. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება;
5. განმარტებითი შენიშვნები;

მოგება-ზარალის ანგარიშგება – სისტემურად წარმოადგენს, კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებს. მათი ერთიანობა იძლევა ფინანსურ შედეგს - მოგებას, ან ზარალს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება – შეიცავს ინფორმაციას კომპანიის აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ კონკრეტული თარიღისთვის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება – წარმოადგენს ინფორმაციას საწარმოში ფულადი სახსრების გასვლისა და შემოსვლის შესახებ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ფულადი ნაკადები წარმოიქმნება საინვესტიციო, საოპერაციო და ფინანსური საქმიანობიდან.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება – იძლევა ინფორმაციას პერიოდის განმავლობაში საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

განმარტებითი შენიშვნები – მოცემულია დანარჩენ ოთხ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლების სიტყვიერი დახასიათება, ან მათ შესახებ დეტალიზებული მონაცემები, ასევე დამატებითი ინფორმაცია იმ მუხლების შესახებ, რომლებიც არ აკმაყოფილებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს, მაგრამ მნიშვნელოვანია ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის, ან საწარმოს მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ.

ანგარიშგების თითოეულ ნაწილში ასახულია სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია, რომელთა გაერთიანება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მთლიანობაში დაინახონ საწარმოს ფინანსური სურათი.

ფინანსური ანგარიშგების მიზანი

ფინანსური ანგარიშგების მთავარი მიზანია მის მომხმარებლებს მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მათ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში.

ძირითადი ინფორმაცია, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება იძლევა შემდეგი სახისაა:

- ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების შესახებ.
- ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგების შესახებ (მოგების, ან ზარალის შესახებ).
- ინფორმაცია საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.
- ინფორმაცია საწარმოს საწესდებო კაპიტალში მომხდარი ცვლილებების შესახებ.
- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ოპერაციების შესახებ განმარტებითი შენიშვნები.

ამ ინფორმაციით შესაძლებელია, შეფასდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მომგებიანობა, გადახდისუნარიანობა, ლიკვიდურობა და სხვა საკითხები.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა:

- დაადგინოს საწარმოს საქმიანობის სახე და შემოსავლების მოცულობა;
- გაარკვიოს სხვადასხვა ბიზნეს საქმიანობის ეფექტურობა;
- შეაფასოს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა;
- მოახდინოს სამომავლო მომგებიანობის, ან შესაძლო ზარალის პროგნოზირება;
- შეადაროს ბიზნესის საქმიანობის შედეგები წინა პერიოდთან
- დადგინოს სესხის აღების აუცილებლობა;
- განსაზღვროს ბიზნესის გრძელვადიანი ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა;
- დასახოს ბიზნესის სამომავლო პერსპექტივები;
- შეამოწმოს მენეჯმენტის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილების სისწორე;
- კომპანიის საქმიანობის შედეგები შეადაროს სხვა მსგავსი საქმიანობის კომპანიის შედეგებს;
- შეაფასოს მწირი რესურსების გამოყენების სისწორე.

ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ საკითხებისა, რომლებიც შესაძლებელია გაირკვეს ფინანსური ანგარიშგებიდან მიღებული ინფორმაციით.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები იყოფიან – **შიდა** და **გარე** მომხმარებლად. ყველა მათგანს აინტერესებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მომგებიანობა და გადახდისუნარიანობა, თუმცა ამოძრავებთ განსხვავებული ინტერესები.

შიდა მომხმარებლები

შიდა მომხმარებლები დაინტერესებული არიან საწარმოს ფინანსური მდგომარეობით, რათა შეაფასონ არსებული ვითარება საწარმოში, ხოლო შემდეგ გამოავლინონ სამომავლო

სამომავლო პერსპექტივები, ან შეაფასონ შესაძლო რისკები. შიდა მომხმარებლებს მიეკუთვნება:

- წილის მფლობელები;
- დირექტორები;
- მენეჯერები;
- თანამშრომლები;
- შიდა აუდიტორები.

შიდა მომხმარებლების ინტერესის სფეროები:

წილის მფლობელები – აინტერესებთ რომ საწარმო იყოს მომგებიანი გრძელვადიან პერიოდში, რადგან გაიზარდოს შემოსავალი ერთ აქციაზე. შესაძლოა, საწარმო იმყოფებოდეს კრიზისულ მდგომარეობაში, რა დროსაც უკეთესი იქნება წილის გასხვისება. მსგავსი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად წილის მფლობელები აანალიზებენ საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებას. ისინი ასევე ყურადღებას აქცევენ თუ როგორ ასრულებს მენეჯმენტი თავისზე დაკისრებულ მოვალეობებს და საჭიროა, თუ არა რამე ცვლილების შეტანა.

დირექტორები – დაინტერესებული არიან საწარმოს სრული დატვირთვით და სწორად ფუნქციონირებით. სახავენ სამომავლო განვითარების გეგმებს და ეძებენ გზებს ამჟამინდელი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

მენეჯერები – ტოპ მენეჯერებისთვის მნიშვნელოვანია თვალ-ყურის მიდევნება, თუ როგორ ასრულებენ ქვედა რგოლის მენეჯერები თავიანთ საქმეს. მათი პირდაპირი მოვალეობაა დარწმუნდნენ, რომ კომპანია ეფექტურად იყენებს თავის რესურსებს. მნიშვნელოვანია, შეფასდეს შიდა კონტროლის დონე და ის, თუ რამდენად წარმატებულად ხორციელდება ოპერაციები.

თანამშრომლები – მათთვის საინტერესოა იმის გარგვევა, შეძლებს თუ არა კომპანია ხელფასების გაზრდას და მოხერხდება ეს წარმოებული პროდუქციის რაოდენობის, თუ ფასის ზრდის შედეგად.

შიდა აუდიტორები – აინტერესებთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, რათა შეაფასონ შეფერხების მიზეზები რისკები.

გარე მომხმარებლები

გარე მომხმარებლებს სურთ, რომ საწარმოსთან სამომავლო თანამშრომლობა არ იყოს დაკავშირებული პრობლემებთან. ისინი დაინტერესებული არიან, რომ საწარმომ შეძლოს ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულება. აქედან გამომდინარე, გარე მომხმარებლები წინასწარ, სამეურნეო გარიგებამდე, აფასებენ საწარმოს გადახდისუნარიანობას.

გარე მომხმარებლებს მიეკუთვნება:

- კრედიტორები;
- ინვესტორები;
- მომწოდებლები;
- მთავრობა;
- სხვა.

კრედიტორები – დაინტერესებული არიან აქვს თუ არა საწარმოს მოკლევადიანი სესხების გადახდის შესაძლებლობები, ამავდროულად, ისინი ასევე აფასებენ მომავალი საოპტიმალური ვალდებულებების დაფარვის უნარს, ანუ კრედიტორები აფასებენ კომპანიის ლიკვიდურობას.

ინვესტორები – აფასებენ კომპანიის სამომავლო მომგებიანობას, რადგან მათ არ სურთ წამგებიან ბიზნესში ფულის ინვესტირება. ამისათვის შეისწავლიან წარსულ და ახლანდელ მონაცემებს და აანალიზებენ მათ ცვლილებას. მათ აინტერესებთ ფირმის კაპიტალის სტრუქტურა, რათა განსაზღვრონ მისი გავლენა კომპანიის შემოსავლებზე.

მომწოდებლები – აფასებენ კომპანიის გრძელვადიან გადახდისუნარიანობას, ქმედითუნარიანობას, მომგებიანობას, ნაღდი ფულის გამომუშავებისა და სესხის პროცენტის დაფარვის უნარს. გრძელვადიანი კლიენტებისთვის ასევე საინტერესოა

ისტორიული მონაცემები, რათა შეფასდეს სამომავლო გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა.

მთავრობა – დაინტერესებულია ქვეყანის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზით, მოწოდებულია მიიღოს, შეცვალოს, ან გააუქმოს ბიზნეს-რეგულაციები და ცდილობს საგადასახადო სისტემის ბიზნეს გარემოზე ოპტიმალურად მორგებას.

სხვა – იგულისხმება: ეკონომისტები, მკვლევარები, მედია და ასე შემდეგ. ისინი აკეთებენ ფინანსურ ანალიზს, რათა შეისწავლონ ქვეყნის ახლანდელი ბიზნეს-გარემო და ეკონომიკის მდგომარეობა.

1.2 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ელემენტები

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ნაწილებს, სადაც ასახულია განსხვავებული ტიპის ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, ფინანსური შედეგების, ფულადი საშუალებების მოძრაობის და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. მათი ერთიანობა ქმნის ფინანსურ ანგარიშგებას.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ბუღალტრული ბალანსი ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის - „**ფულადი შეფასების**“ პრინციპის საფუძველზე ხდება და შედგენის თარიღისთვის, ის გვიჩვენებს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებსა და კაპიტალს, განზოგადებული, ფულადი საზომით. ფინანსური ინფორმაცია აისახება ეროვნულ ვალუტაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მზადდება **ორმხრივობის** პრინციპის საფუძველზე. აქედან გამომდინარე ბუღალტრულ ბალანსს ორი მხარე აქვს: ერთ მხარეს ასახულია აქტივები, ხოლო მეორე მხარეს - ვალდებულებები და კაპიტალი. აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის დასახელებას ბალანსის მუხლი ეწოდება.

ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა შედგება შემდეგი ტოლობისგან, რომელსაც ძირითად ბუღალტრულ ტოლობას უწოდებენ:

აქტივები = ვალდებულებები + კაპიტალი

ბალანსის მეშვეობით შესაძლებელია გავარკვიოთ, თუ რა სახის აქტივებს ფლობს საწარმო და რა წყაროებიდან აქვს ისინი მიღებული.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია შემდეგი მუხლების შესახებ:

- ძირითადი საშუალებები;
- საინვესტიციო ქონება;
- ფინანსური აქტივები;
- წილობრივი ინვესტიციები;
- ბიოლოგიური აქტივები;
- მარაგები;
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები;
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები;
- ანარიცხები;
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები;
- მიმდინარე/გადავადებული საგადასახადო აქტივები, ან ვალდებულებები;
- არამაკონტროლებელი წილი, რომელიც წარმოდგენილია საკუთარ კაპიტალში;
- გამოშვებული სააქციო კაპიტალი და სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი რეზერვები;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალ-ცალკე აისახება მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები და ვალდებულებები, რათა უკეთ წარმოჩინდეს თითოეული მუხლის სიდიდე და ფინანსური ანალიზის პროცესი გამარტივდეს.

მოკლევადიანი აქტივი – ისეთი აქტივია, რომელსაც საწარმო ფლობს ძირითადად სავაჭრო დანიშნულებით და გეგმავს მის რეალიზაციას საოპერაციო ციკლის განმავლობაში, ან იგი არის ფულადი სახსრები, ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი.

გრძელვადიანი აქტივი – ყველა აქტივი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ საქმიანობაში ერთ საოპერაციო ციკლზე მეტ პერიოდში.

მოკლევადიანი ვალდებულება – ვალდებულება მოკლევადიანია, თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საოპერაციო ციკლის განმავლობაში. ის ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით და უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში.

გრძელვადიანი ვალდებულება – ყველა ვალდებულება, რომელთა დაფარვა არ იგეგმება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მომენტიდან შემდგომი 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მზადდება **ჰორიზონტალური**, ან **ვერტიკალური** მეთოდით, **ლიკვიდურობის ზრდის** ან **შემცირების** პრინციპით.

ჰორიზონტალური მეთოდი – ერთ მხარეს დაჯგუფებულია აქტივები, ხოლო მეორე მხარეს ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

ვერტიკალური მეთოდი – ჯერ დაჯგუფებულია აქტივები, ხოლო ქვემოთ მოცემულია ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

ლიკვიდურობის ზრდის მიხედვით – გულისმობს ბალანსში აქტივების, ვალდებულებისა და კაპიტალის დაჯგუფებას ლიკვიდურობის ზრდის მიხედვით.

ლიკვიდურობის შემცირების მიხედვით – გულისმობს ბალანსში აქტივების, ვალდებულებისა და კაპიტალის დაჯგუფებას მათი ლიკვიდურობის შემცირების მიხედვით.

ბალანსის შედგენა შესაძლებელია ორივე მეთოდით, მაგრამ უფრო გავრცელებულია ვერტიკალური მოდელი.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

სისტემურად ჯგუფდება ყველა ტიპის შემოსავალი და ხარჯი და გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი - მოგება, ან ზარალი.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მუხლები:

- მოგება ან ზარალი;
- სხვა სრული შემოსავლის თანხა;
- პერიოდის სრული შემოსავალი, რომელიც ასახავს მოგების, ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თანხას.

საწარმომ, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გარდა, უნდა წარმოადგინოს პერიოდის მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნიებულია:

- არამაკონტროლებელ წილზე;
- სათავო საწარმოს მესაკუთრეზე;

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება ინფორმაცია შემდეგი მუხლების შესახებ:

- ამონაგები;
- ფინანსური დანახარჯი;
- საწარმოს წილი წილობრივი მეთოდით აღრიცხულ მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივი საწარმოების მოგებაში ან ზარალში;
- საგადასახადო ხარჯი;
- შეწყვეტილი ოპერაციების ჯამური თანხა.

ინფორმაცია, რომელიც აისახება სხვა სრული შემოსავლის განყოფილებაში:

ა) სხვა სრული შემოსავლის შემადგენელი მუხლები, რომლებიც კლასიფიცირებულია ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. ისინი არ შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში.

ბ) წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივი საწარმოების სხვა სრულ შემოსავალი.

ამონაგები – არის შემოსავალი, რომელიც გროვდება საოპერაციო ციკლის განმავლობაში და გულისხმობს ეკონომიკური სარგებლის ზრდას. ბასს 18 – „ამონაგები“-ის თანახმად, ამონაგების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები თანხების **რეალური ღირებულებით**, რომელიც მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყოველგვარ სავაჭრო ფასდათმობასა და შეძენის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობის თანხებს.

ამონაგები შედგება ორი ნაწილისგან:

1. **საოპერაციო შემოსავლები** – მზა პროდუქციის რეალიზაციით, ან მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლები.
2. **არასაოპერაციო შემოსავლები** – ნებისმიერი არასაოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. მაგალითად: საიჯარო შემოსავლები, მიღებული დივიდენდები, საპროცენტო შემოსავლები, როიალტი.

სხვა შემოსავლები (შემოსულობები) – შემოსავლების მსგავსად ზრდის საწარმოს ეკონომიკურ სარგებელს, ამიტომ სტანდარტი მას ცალკე არ განიხილავს. სხვა შემოსავლებს მიეკუთვნება აქტივის რეალიზაციიდან მიღებული ნამეტი; კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული დადებითი შედეგი და სხვა.

ხარჯი - არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების საწარმოდან გასვლის, ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით და რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

სტანდარტი ხარჯების კლასიფიკაციას ახდენს:

- ჩვეულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებად;
- განსაკუთრებული სახის ხარჯებად.

ჩვეულებრივი საქმიანობა – არის საქმიანობა, რომელსაც საწარმო ახორციელებს, როგორც თავის ძირითად საქმიანობას.

საოპერაციო ხარჯები – ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები: საიჯარო ქირა, რეკლამის ხარჯი, ხელფასის ხარჯები, კომუნიკაციის ხარჯი და ა.შ.

არასაოპერაციო ხარჯები – ხარჯები, რომელთა გაწევაც არ უკავშირდება საწარმოს ძირითად საქმიანობას: საპროცენტო ხარჯი, ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი და სხვა.

განსაკუთრებული სახის ხარჯები (მუხლები) – არის საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობიდან აშკარად განსხვავებული (არაორდინალური) სამეურნეო მოვლენებისა და ოპერაციების შედეგად წარმოშობილი ხარჯები. ამის მაგალითად შესაძლოა დასახლედეს სტიქიური უბედურების შედეგად გამოწვეული ზარალი.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში საოპერაციო ხარჯების წარდგენა შესაძლოა მოხდეს **ფუნქციური მეთოდით** და **ეკონომიკური შინაარსის მიხედვით**.

ფუნქციური მეთოდი – გულისხმობს საოპერაციო ხარჯების დაჯგუფებას მათი ფუნქციების მიხედვით. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით მომზადებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, შესაძლებელია საერთო მოგების ხვედრითი წილის დათვლა და სხვა. ამ მეთოდს, ძირითადად, წარმოების ინდუსტრიაში ჩართული კომპანიები იყენებენ.

ფუნქციური მეთოდის დროს **საოპერაციო ხარჯები** დაჯგუფებულია სამ ნაწილად:

- რეალიზებული პროდუქციის (საქონლის) თვითღირებულება;
- მიწოდების (სავაჭრო) ხარჯები;
- ადმინისტრაციული ხარჯები.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით – საოპერაციო ხარჯები დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯები, გაცემული ხელფასები, სარეკლამო ხარჯები და სხვა. ამ მეთოდს მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი არ არის ფუნქციური დანიშნულებით საოპერაციო ხარჯების განაწილება.

საწარმოს მოგება-ზარალის ანგარიშგების მომზადებისას, უპირატესობა ენიჭება იმ მეთოდს, რომელიც უფრო ნათლად წარმოაჩენს საწარმოს ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და მის მომგებიანობას.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საშუალებას იძლევა შეფასდეს საწარმოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავების უნარი და საწარმოს მოთხოვნილებები ფულადი სახსრების გამოყენების შესახებ.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში უნდა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ფულადი ნაკადები, რომელიც დაჯგუფებული იქნება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობად.

საოპერაციო საქმიანობა – საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული და გასული ფულადი ნაკადები ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად, რადგან სწორედ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული თანხებით უნდა გადაიხადოს საწარმომ დივიდენდები, დამატებითი გარე წყაროების მოზიდვის გარეშე. ეს ინფორმაცია ასევე სასარგებლოა სამომავლო ფულადი ნაკადების შესახებ პროგნოზების გასაკეთებლად.

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

- საქონლის გაყიდვიდან, ან მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- თანამშრომლებისთვის გადახდილი თანხები;
- სავაჭრო მიზნით დადებული ხელშეკრულებებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები;
- მოგების გადადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება;
- როიალტიდან, ჰონორარიდან, საკომისიო გადასახდელები.

ფულადი სახსრების გადახდა იჯარით გასაცემად აშენებულ, ან შეძენილ აქტივებზე, რომლებიც შემდგომში გახდა გასაყიდად გამიზნული, მიიჩნევა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადად. ამგვარი აქტივების საიჯარო ქირიდან და შემდგომში მისი გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრებიც ასევე მიიჩნევა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებად.

შესაძლოა, საწარმოს გააჩნდეს ფასიანი აქაღალდეები და სესხები, რომლებიც განკუთვნილი იქნება კომერციული საქმიანობისთვის, მათი ყიდვა-გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადები ასევე კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო საქმიანობა.

საინვესტიციო საქმიანობა – არის ისეთი საქმიანობა, რომელზეც გაწეული დანახარჯები იწვევს აქტივების აღიარებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საინვესტიციო საქმიანობის ფულად ნაკადებს მიეკუთვნება:

- ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი თანხები. ის ასევე მოიცავს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეულ კაპიტალიზებად თანხებს და საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებებზე გაწეულ დანახარჯებს.
- ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანია ქტივების რეალიზაციიდან მღებული თანხები;
- სხვა პირებზე ავანსებად, ან სესხად გაცემული ფულადი სახსრები;
- ფიუჩერსული, ფორვარდული, ოფციონებისა და სხვა ხელშეკრულებით გადახდილი ფულადი სახსრები, თუ ის შემენილი არ არის კომერციული და სავაჭრო მიზნით.

საფინანსო საქმიანობა – ეს ყველა ის საქმიანობაა, რომელიც არ არის არც საოპერაციო და არც საინვესტიციო საქმიანობა. საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებს მიეკუთვნება შემდეგი:

- აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;
- მესაკუთრეთათვის აქციების შემენის ან გამოსყიდვის მიზნით გადახდილი ფულადი სახსრები;
- ფულადი სახსრები, რომლებიც მიიღება სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, გირაოებისა და გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სესხების გაცემით;
- სესხების დსაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები; და
- მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარის ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.

საოპერაციო ფულადი ნაკადების ანგარიშგება მზადება და წარდგენა შესაძლებელია პირდაპირი, ან არაპირდაპირი მეთოდით.

პირდაპირი მეთოდი – ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის მთლიანი ნაკადები. პირდაპირი მეთოდის დროს ყველა ფულადი ოპერაცია განხორციელებისთანავე უნდა მიეკუთვნოს შესაბამის მუხლს.

არაპირდაპირი მეთოდი – ფულადი ნაკადები განისაზღვრება წმინდა მოგებისა და ზარალის კორექტირებით შემდეგი მუხლების მეშვეობით:

- არაფულადი მუხლებით, როგორცაა: ცვეთა, ანარიცხები, გადავადებული გადასახადები, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობები და დანაკარგები, მეკავშირე საწარმოებს შორის გაუნაწილებელი მოგება;
- საანგარიშგებო პერიოდში მარაგებში, საოპერაციო მოთხოვნებსა და ვალდებულებებში მომხდარი ცვლილების მიხედვით.

რეკომენდირებულია პირდაპირი მეთოდის გამოყენება, რადგან იგი იძლევა საშუალებას შეფასდეს მომავალი ფულადი ნაკადები.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

მოიცავს ისეთი ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებებთან.

საკუთარი კაპიტალის საბოლოო ნაშთის გამოსათვლელად საჭიროა საწყისი ნაშთის აღება საწყისი პერიოდის ბალანსიდან, მას დაემატება პერიოდის წმინდა მოგება და საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მფლობელის მიერ კაპიტალში დამატებითი შენატანები და გამოაკლდება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მფლობელის მიერ კაპიტალის ამოღება და გაცემული დივიდენდები.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში უნდა აჩვენოს საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული და მესაკუთრეებზე განაწილებული დივიდენდების ოდენობა და ასევე ერთ აქციაზე დივიდენდების შესაბამისი ოდენობა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შეიცავს ინფორმაციას საწარმოს მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, ასევე დამატებით ინფორმაციასა და განმარტებებს, რომელიც უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის, მაგრამ აუცილებელია მისი რომელიმე ელემენტის გასაგებად.

სააღრიცხვო პოლიტიკა – მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული შეფასების საფუძვლებსა და თითოეულ გამოყენებული სპეციფიკურ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების სწორად გასაგებად.

შეფასების საფუძვლები – მოიცავს ინფორმაციას **პრივანდელი, მიმდინარე, ნეტო სარეალიზაციო და რეალური ღირებულების** შესახებ. კონკრეტული რომელიმე საფუძველი, რომლის მიხედვითაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვანია და გავლენას ახდენს მომხმარებლის ანალიზის ჩატარების პროცესზე. თუ ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ერთზე მეტი შეფასების მეთოდით, უნდა გამჟღავნდეს ის მუხლები, რომლებსაც ეხება შეფასების განსხვავებული მეთოდი.

- **პრივანდელი ღირებულება** – თანხა, რომლითაც აქტივი აისახება თავდაპირველად, მიღების და მის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული დანახარჯებით;
- **მიმდინარე ღირებულება** – თანხა, რომლითაც აქტივი/ვალდებულება ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პრივანდელი/შემდგომის ღირებულების შემდგომი კორექტირებების (ცვეთის, გადაფასების და ა. შ) გათვალისწინებით;
- **ნეტო სარეალიზაციო ღირებულება** – ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შეფასებით დადგენილი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისათვის,

გაყიდვის, გაცვლის და განაწილებისათვის შეფასებით დადგენილი საჭირო დანახარჯების გამოკლებით;

- **რეალური ღირებულება** – აქტივის, ან ვალდებულების რეალური ღირებულება მიმდინარე პერიოდში.

განუსაზღვრელობის შეფასება – როდესაც არსებობს იმის რისკი, რომ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, შესაძლოა, რაიმე გარემოების დადგომის გამო, მნიშვნელოვნად შეიცვლოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში დეტალურად უნდა აღწეროს ამ აქტივებისა და ვალდებულებების ბუნება.

ასევე საჭიროა ამ განუსაზღვრელობებთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაციის აღწერა:

- განუსაზღვრელობის შეფასების ხასიათი;
- საბალანსო ღირებულებების მგრძობელობა განუსაზღვრელობებთან მიმართებაში და მგრძობელობის გამომწვევი მიზეზები.
- განუსაზღვრელობის მოსალოდნელი გადაწყვეტა და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში მათი სავარაუდო შედეგების აღწერა.

ზოგჯერ, საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას, შეუძლებელია განუსაზღვრელობის შედეგების შეფასება. ამ შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია, რომ მომავალ ფინანსურ წელს მიღებული შედეგები განსხვავებული იყოს გაკეთებული დაშვებებისგან, რის გამოც შეიძლება, აუცილებელი გახდეს შესაბამისი აქტივების, ან ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირება. ყოველ შემთხვევაში, საწარმომ აუცილებლად უნდა განმარტოს იმ კონკრეტული აქტივებისა და ვალდებულებების ხასიათი, რომლებსაც დაშვება შეეხო.

კაპიტალთან დაკავშირებული განმარტებები – საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რაც აუცილებელია კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული საწარმოს მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების შეაფასებისთვის.

სხვა განმარტებები – საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ხელმოწერამდე შეთავაზებული, ან გამოცხადებული დივიდენდების ოდენობა, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული.
- ყველა აუღიარებელი კუმულაციური პრივილეგიური დივიდენდების ოდენობა.

თუ ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ნაწილში არ არის ასახული, საწარმომ უნდა აღწეროს შემდეგი ინფორმაცია:

- საწარმოს ადგილმდებარეობა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია საწარმო და რეგისტრირებული ოფისის მისამართი (ან საქმიანობის ძირითადი ადგილი, თუ იგი განსხვავდება რეგისტრირებული ოფისის მისამართისგან);
- საწარმოს ოპერაციების შინაარსი და ძირითადი საქმიანობა;
- მისი სათავო საწარმო და საწარმოთა ჯუფის სათავო საწარმოს დასახელება;
- თუ შეზღუდულია საწარმოს საქმიანობის ხანგრძლივობა, ინფორმაცია მისი ხანგრძლივობის შესახებ.

განმარტებითი შენიშვნები ემსახურება ფინანსური ანგარიშგების სრულად და სიღრმისეულ გაგებას.

1.3 ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პრინციპები და ხარისხობრივი მახასიათებლები

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პრინციპები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (ზასს 1-ფინანსური ანგარიშგების წარდგენა) მიხედვით ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის;
- პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
- პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია, მათ შორის წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაცია.
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად.

საწარმომ ყველა ფინანსური ანგარიშგება ერთნაირი პასუხისმგებლობით უნდა წარადგინოს ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენა და სტანდარტებთან შესაბამისობა

ფინანსურმა ანგარიშგებამ სამართლიანად უნდა წარმოადგინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების კეთილსინდისიერად ასახვას, აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში. იგულისხმება, რომ ფასს სტანდარტების გამოყენებით მომზადებული

ფინანსური ანგარიშგება, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით განმარტებებთან ერთად, აკმაყოფილებს სამართლიანი წარდგენის კრიტერიუმებს.

საწარმომ, რომლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად, ნათლად და უპირობოდ უნდა განაცხადოს ამის შესახებ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებას არ უნდა უწოდოს ფასს სტანდარტების შესაბამისი, თუ იგი არ შეესაბამება ფასს სტანდარტების ყველა მოთხოვნას.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი გულისხმობს, რომ საწარმო არ გეგმავს, ან საქმიანობის შეწყვეტას, ან მასშტაბის მნიშვნელოვნად შემცირებას უახლოესი ერთი წლის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გათვალისწინებით, რაგადა იმ შემთხვევისა, როცა ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი, ასე რო მოიქცეს

თუ შეფასების დროს საწარმოს ხელმძღვანელობისთვის ცნობილია მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობები, რაც საფუძველიან ექვს ბადებს საწარმოს შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მან განმარტებით შენიშვნებში უნდა ახსნას ეს განუსაზღვრელობები.

თუ ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არ არის ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე, საწარმომ შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და საფუძველი, რის მიხედვითაც მომზადდა ანგარიშგება. ასევე მითითებული უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც საწარმო არ შეიძლება ჩაითვალოს ფუნქციონირებად საწარმოდ.

დარიცხვის მეთოდი

საწარმომ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგების მომზადება, გარდა ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა, უნდა აწარმოოს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებას იმ მომენტში, როდესაც დააკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს, მიუხედავად იმისა მათი შესაბამისი ფულადი ნაკადების გადინება, ან შემოდინება როდის მოხდა.

არსებითობა და აგრეგირება

ყველა არსებითი მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი უნდა იქნეს განცალკევებით, ხოლო არაარსებითი თანხები უნდა გაერთიანდეს ფუნქციების, ან შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით და საჭირო არ არის მათი ცალ-ცალკე წარდგენა.

- **არსებითი მუხლი** – აღრიცხვის ის ელემენტები, რომელთა გამოტოვება, ან უზუსტობა ინდივიდუალურად, ან ერთობლიობაში გავლენას ახდენს მომხმარებლის მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. არსებითობის განმსაზღვრელი ფაქტორი შესაძლოა იყოს ელემენტის სიდიდე ან ბუნება, ან ორივე ერთად.
- **არაარსებითი მუხლი** – ისეთი მუხლია, რომელიც აგრეგირდება სხვა მუხლებთან და აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, ან მის განმარტებით შენიშვნებში.

ნაკლებად არსებითი მუხლი, შესაძლოა, იმდენად არსებითი შინაარსის მქონე იყოს, რომ განმარტებით შენიშვნებში იმსახურებდეს ცალკე წარდგენას.

ურთიერთგადაფარვა

ბასს 1-ის მიხედვით, ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს დაუშვებელია აქტივებისა და ვალდებულებების, ან შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა, თუ სხვა რამ არ მოითხოვება რომელიმე სტანდარტით.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების დამოუკიდებლად წარდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ურთიერთგადაფარვის შედეგად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელი იღებს მცირე ინფორმაციას განხორციელებული ოპერაციებისა და სხვა მოვლენების შესახებ. აქედან გამომდინარე, რთულდება ანალიზის პროცესი და საწარმოს სამომავლო მდგომარეობის შეფასება.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სიხშირე

საწარმომ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უნდა წარადგინოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც. როდესაც საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს ერთ წელიწადზე ნაკლებ, ან მეტ დროში, განმარტებით შენიშვნებში უნდა მიუთითოს თუ რა პერიოდს მოიცავს ფინანსური ანგარიშგება და გააკეთოს დამატებითი განმარტებები:

1. მიზეზი, თუ რატომ გამოიყენა ერთი წელიწადისგან განსხვავებული პერიოდი;
2. ფაქტი, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები მთლიანად შესადარისი არ არის.

როგორც წესი, ფინანსური ანგარიშგება სისტემატურად, ყოველ წელს მზადდება. თუმცა, ზოგიერთი საწარმო, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ამჯობინებს, რომ ანგარიშგება მოამზდოს 52-კვირიანი ინტერვალით.

ფინანსური ანგარიშგების წრდგენისას ასევე აუცილებელია წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაციის მომზადება, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება ქონდეთ, გააკეთონ ანალიზი და ამ ანალიზის შედეგების მიხედვით მიიღონ ეკონომიკური გადაწყვეტილებები.

წარდგენის უცვლელობა

ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების კლასიფიკაცია და წარდგენის ფორმა უნდა შენარჩუნდეს ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

- საწარმოს საქმიანობის შინაარსი მნიშვნელოვნად იცვლება ან, როდესაც ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვიდან ჩანს, რომ სხვაგვარი წარდგენა ან კლასიფიკაცია უფრო მეტად შეესაბამება ბასს 8-ში მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების კრიტერიუმებს; ან
- რომელიმე სტანდარტი მოითხოვს წარდგენის შეცვლას.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები

ფინანსურ ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესები, სადაც ხაზგასმით წერია, რომ წარდგენილი ინფორმაცია ნამდვილად გამოსადეგი რომ იყოს ანალიზის პროცესში, ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლებია:

- შესაბამისობა;
- აღქმადობა;
- საიმედოობა;
- შესადარისობა.

შესაბამისობა – შესაბამისია ისეთი ეკონომიკური ინფორმაცია, რომელზე დაყრდობითაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს შეუძლია მიიღოს ეკონომიკური გადაწყვეტილება. ფინანსურ ინფორმაციას მაშინ შეუძლია მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა, თუ მას აქვს დამადასტურებელი, ან საპროგნოზო ხასიათი, ან ორივე ერთად.

აღქმადობა – ფინანსურ ანგარიშგებაში ეკონომიკური ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს ნათლად და გასაგებად, რათა მისი აღქმა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს არ გაუჭირდეს. ზოგიერთი ეკონომიკური მოვლენა, თავისი არსით, რთულია და შეუძლებელია მისი წარდგენა ადვილად გასაგები ფორმით, თუმცა მისი გამოტოვება არ შეიძლება, რადგან დამახინჯდება ფინანსური ანგარიშგება და არ იქნება სრულყოფილი. იგულისხმება, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს უნდა ქონდეს შესაბამისი განათლება წარდგენილი ინფორმაციის აღსაქმელად.

საიმედოობა – გულისხმობს ისეთი ეკონომიკური ინფორმაციის მიუკერძოებლად ასახვას, რომელიც არ შეიცავს არსებით შეცდომებს.

ინფორმაციის საიმედოობაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- სამართლიანი წარდგენა;
- შინაარსის ფორმაზე აღმატებულება;
- ნეიტრალობა;
- წინდახედულობა;
- სისრულე.
- **სამართლიანი წარდგენა** – ეკონომიკური ინფორმაცია რეალურ ინფორმაციას უნდა იძლეოდეს საწარმოს ფინანსური მახასიათებლების შესახებ. ამასთანავე მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს დროული.
- **შინაარსის ფორმაზე აღმატებულება** – გულისხმობს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, პირველ რიგში, ეკონომიკური შინაარსის მიხედვით განიხილება, მიუხედავად მისი იურიდიული ფორმისა.
- **ნეიტრალური ასახვა** – გულისხმობს ფინანსური ინფორმაციის შერჩევას, ან ასახვას მიუკერძოებლად. ნეიტრალური ინფორმაცია ისე უნდა იყოს ასახული, რომ არ გამოიწვიოს მომხმარებლის ყურადღების გამახვილება, ან შესუსტება რომელიმე საკითხთან მიმართებაში.
- **სისრულე** – იმისათვის, რომ ეკონომიკური ინფორმაცია საიმედო იყოს, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია ღირებულების და კალკულაციის თვალსაზრისით სრული უნდა იყოს.

შესადარისობა – მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოიცავს ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებას, მაგალითად: გაყიდოს, იყიდოს თუ შეინარჩუნოს რომელიმე საწარმოს ინვესტიცია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იყოს შესადარისი სხვა საწარმოს, ან იგივე საწარმოს წარსულ ფინანსურ მაჩვენებლებთან.

საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემის შესაბამისად. შესადარისი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს თხრობითი და აღწერილობითი ხასიათის ინფორმაციასაც, თუ ამის გაკეთება

აუცილებელია მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების უკეთ გასაგებად. საწარმომ უნდა წარმოადგინოს, როგორც მინიმუმი, ორი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ორი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, ორი განცალკევებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება (თუ ასეთი წარდგენილი აქვს), ორი ფულადი ნაკადების ანგარიშგება და ორი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.

დამატებითი შესადარისი ინფორმაცია

საწარმოს შეუძლია, ფასს სტანდარტებით მოთხოვნილი მინიმალური შესადარისი ფინანსური ანგარიშგების გარდა, წარმოადგინოს დამატებითი შესადარისი ინფორმაცია, თუ აღნიშნული ინფორმაცია მომზადებული იქნება ფასს სტანდარტების შესაბამისად. ამგვარი შესადარისი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე ანგარიშგებას, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ ეს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი იყოს. თუ საწარმო წარმოადგენს ამგვარ დამატებით შესადარის ინფორმაციასაც, მან ასევე უნდა წარმოადგინოს ამ დამატებითი ანგარიშგებების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებიც.

თავი 2. ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი

2.1 ფინანსური ანალიზის არსი, მიზანი და მეთოდები

ფინანსური ანალიზი - არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის კრიტიკულ შეფასებას. იგულისხმება, რომ მრავალი ფინანსური ოპერაცია და ფაქტი განიხილება ერთიანობაში და ფასდება კომპანიის ფინანსური სიჯანსაღე და სამომავლო პერსპექტივები.

ტერმინი „ფინანსური ანალიზი“ მოიცავს არა მხოლოდ ანალიზს, არამედ ინტერპრეტაციასაც. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი და ინტერპრეტაცია გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების ბევრი ნაწილის შესწავლას, დაკავშირებული ელემენტების ერთად განხილვასა და სურათის მთლიანობაში აღქმას. მნიშვნელოვანი და გამოსაყენებელი ინტერპრეტაციები შეიძლება გაკეთდეს ამ ანალიზური ინფორმაციის გამოყენების შედეგად.

ანალიზი - გულისხმობს ფინანსური ინფორმაციის კლასიფიცირებასა და დაჯგუფებას, რათა უფრო გასაგები იყოს ის.

ინტერპრეტაცია - გულისხმობს ფინანსური მაჩვენებლების ახსნასა და მათი მნიშვნელობის წარმოჩენას.

ეს ორი ცნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ანალიზი ინტერპრეტაციის გარეშე გამოუსადეგარია, ხოლო ინტერპრეტაცია ანალიზის გარეშე, ძალიან ძნელი და თითქმის შეუძლებელი.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი იძლევა კომპანიის საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას. ეს ინფორმაცია გულისხმობს წარსული და მიმდინარე ფინანსური შედეგების ერთმანეთთან შედარებას, რათა შეფასდეს კომპანიის სამომავლო რისკები და პოტენციალი.

წარსული შედეგები ხშირად კარგი ინდიკატორია სამომავლო პროგნოზირების გასაკეთებლად, ამიტომ ინვესტორები და კრედიტორები უყურებენ გაყიდვების,

შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი შემოსავლების ტრენდს - ცვლილებას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც იძლევა ინფორმაციას კომპანიის მომგებიანობის, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შესახებ. ამგვარი ინფორმაცია მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების როგორც გარე, ასევე შიდა მომხმარებლებისთვის - გამსესხებლებისთვის, ინვესტორებისთვის, კომპანიის მეწილეებისთვის, სახელმწიფოს საგადასახადო ორგანოებისთვის და სხვა. ამ მომხმარებლებს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მიღებას სურთ კომპანიის ფინანსური ანგარიშგებიდან, ამიტომ იყენებენ სხვადასხვა მეთოდსა და ტექნიკას.

მაგალითად: მეწილეებს სურთ ინფორმაცია კომპანიის გრძელვადიანი შემოსავლების, ზრდისა და დივიდენდების გადახდის უნარის შესახებ, ხოლო კრედიტორებს აინტერესებთ რამდენად გადახდისუნარიანი იქნება კომპანია სავალო ვალდებულებებთან მიმართებაში.

გამოსაყენებელი ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლებია: რელევანტურობა, და საიმედოობა, შესადარისობა წინა პერიოდთან და თანმიმდევრულობა. შესადარისობა გულისხმობს იმ ორი ან მეტი სხვადასხვა კომპანიის ფინანსური ინფორმაციის შედარებას, რომლებიც ოპერირებენ ერთ ინდუსტრიაშია დროის ერთ მონაკვეთში. თუ ინფორმაციას რომელიმე მათგანი აკლია, მაშინ ეს ინფორმაციაში არასაკმარისად ჩაითვლება ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინფორმაცია წარსული და ახლანდელი მდგომარეობის შესახებ გამოიყენება, როგორც განზოგადების საშუალება და მისი დახმარებით შესაძლებელია მომავლის შესახებ სავარაუდო მოსაზრების გამოთქმა. ინვესტორი აფასებს კომპანიის უნარს გამოიმუშაოს შემოსავლები, იმიტომ რომ სწორედ ეს უნარი ახდენს გავლენას კომპანიის აქციების საბაზრო ფასსა და დივიდენდის გადახდის სიდედეზე.

ინვესტიციის ან სასესხო დაფინანსების რისკის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პროგნოზირებადია კომპანიის სამომავლო მომგებიანობა და ლიკვიდურობა.

მაგალითად: თუ ინვესტორი ვარაუდობს, რომ კომპანიის მოსალოდნელი შემოსავალი ერთ აქციაზე იქნება \$2.50-\$2.60 შუალედში, მაშინ ინვესტიცია უფრო ნაკლებად რისკიანი იქნებოდა, ვიდრე თუ მოსალოდნელი შემოსავალი იქნებოდა \$2 და \$3 შორის.

ფინანსური ანალიზის მიზანი

ფინანსური ანალიზის მიზანი ისეთი ინფორმაციის მიწოდებაა, რომელიც ბიზნესის წარმართვისთვის სასარგებლო იქნება და ამავდროულად ინფორმაციის მომხმარებელს მისცეს ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების საშუალება. ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლებისთვის ანალიზის მიზანი სახადასხვაა. ძირითად შემთხვევაში კი ფასდება კომპანიის მიმდინარე მომგებიანობა და ოპერაციული ეფექტურობა, როგორც მთლიანად, ასევე განყოფილებების მიხედვით, რათა უფრო ნათლად წარმოჩინდეს კომპანიის ფინანსური სიჯანსაღე.

ფინანსური ანალიზი არსებულ და პოტენციურ ინვესტორებსა და კრედიტორებს აძლევს საშუალებას:

1. შეიქმნან წარმოდგენა კომპანიის ეკონომიკურ აქტივობებსა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, გადაწყვიტონ ღირს, თუ არა ინვესტიციის განხორციელება, ან სესხის გაცემა და სხვა. ინფორმაცია უნდა იყოს ღრმა და ყოვლისმომცველი, რათა გადაწყვეტილების მიღება იყოს მარტივი.
2. შეაფასონ მოგებისა და რენტაბელობის დინამიკა – კომპანიის პერსპექტივები დივიდენდების, ან პროცენტების მიღების საკითხში, ასევე წარმოდგენა შეიქმნან ფასიანი ქაღალდების გაყიდვის, გამოსყიდვის და მათი დაფარვის ვადის შესახებ.
3. შეაფასოს საწარმოს დაფინანსების წყაროების ეფექტიანობა, ამ ტრანზაქციების ეფექტიანობა და ის სიტუაციები, რომლებიც შეცვლიან ამ წყაროებსა და მათზე უფლებებს.

საწარმოს შედეგების დინამიკაში განხილვა, საშუალებას იძლევა იდენტიფიცირდეს კომპანიის ფინანსური შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობები და გამოვლინდეს მოსალოდნელი რისკები.

ანალიზის შედეგად ასევე ფასდება:

ა) მენეჯმენტის მიერ შესრულებული სამუშაოს დონე;

ბ) შემოსავლების გამომუშავების გრძელვადიანი შესაძლებლობები;

გ) სამომავლო შემოსავლები;

დ) დაფინანსების აუცილებლობა და კონკრეტულ კომპანიასთან დაკავშირებული რისკები ამ საკითხში;

ფინანსური ანალიზის ჩასატარებლად საჭიროა გამოიყოს ანალიზის პრიორიტეტული მიმართულებები, ამისათვის კი აუცილებელია მეთოდებისა და ხერხების შემუშავება, რომლებიც საშუალებას იძლევა სწორად დამუშავდეს მოპოვებული ინფორმაცია და მივაღწიოთ სასურველ მიზანს.

ფინანსური ანალიზის მეთოდები

განასხვავებენ ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სამ სახეს:

1. დესკრიპტული 2. პრედიკატული 3. ნორმატიული.

დესკრიპტული ანალიზი – აღწერითი ხასიათისაა და გულისხმობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებას საანგარიშო პერიოდის დასასრულს. (ლათინურად “de”- მოქმედების დასრულება, “scribere”-აღწერა). ანალიზის ეს ტიპი ყველაზე ხშირად გამოიყენება ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დროს. იგი მოიცავს ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ და ამასთანავე, ანალიზური კოეფიციენტების გამოყენებას.

პრედიკატული ანალიზი – გამოიყენება საწარმოს სამომავლო შემოსავლებისა და მომავალი ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირებისთვის. (ლათინურად „prae”-წინ “dicere”-გახმოვანება).

ნორმატიული ანალიზი – გულისხმობს საწარმოს საქმიანობის ფაქტობრივი შედეგების შედარებას გეგმით გათვალისწინებულ შედეგებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

- ფინანსური ანგარიშგების წაკითხვის მეთოდი;
- დარგობრივი შედარებითი ანალიზის მეთოდი;
- საწარმოს მაჩვენებელთა დინამიკაში შედარების მეთოდი;
- ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლების შედარების მეთოდი;
- კოეფიციენტური ანალიზის მეთოდი.

ფინანსური ანგარიშგების წაკითხვის მეთოდი – გულისხმობს ანგარიშგებში წარმოდგენილი აბსოლუტური მაჩვენებლების შესწავლას. ამ ტიპის ანალიზი საწარმოს შესახებ პირველადი შთაბეჭდილების შექმნის საშუალებას იძლევა.

დარგობრივი შედარებითი ანალიზის მეთოდი – გულისხმობს ერთი და იმავე დარგის მაჩვენებლების ანალიზს და მათი შედარების საფუძველზე დასკვნების გაკეთებას.

საწარმოს მაჩვენებელთა დინამიკაში შედარების მეთოდი – საშუალებას იძლევა შეფასდეს საწარმოს მაჩვენებლების ცვლილება წლების განმავლობაში.

ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლების შედარების მეთოდი – გულისხმობს საწარმოს გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლების ერთმანეთთან შედარებას აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებში.

კოეფიციენტური ანალიზის მეთოდი – იყენებს ფინანსურ კოეფიციენტებს, რათა შეფასდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

ფინანსური მდგომარეობის – ანალიზის ჩასატარებლად ყველაზე ხშირად იყენებენ შემდეგი ტიპის მეთოდებს:

- **ჰორიზონტალური ანალიზი** – გულისხმობს კომპანიის ბოლო წლის ფინანსური მაჩვენებლების შედარებას უახლესი წარსული წლების მაჩვენებლებთან. მსგავსი ტიპის შედარება საშუალებას იძლევა დადგინდეს რომელიმე მაჩვენებლის ზრდის, ან შემცირების გამომწვევი მიზეზები. ამ მეთოდისთვის გამოიყენება ინფორმაცია კვირეულ, თვიურ და წლიურ ჭრილში. შესაძლებელია ასევე დადგინდეს საბაზისო

მაჩვენებელთან შედარებით ზრდის, ან შემცირების ტემპები, რომელიც წარმოდგენილი იქნება პროცენტული სახით. ამ ანალიზ დინამიკურ, ან ტრენდულ ანალიზსაც უწოდებენ.

ჰორიზონტალური ანალიზის **დადებითი მხარე** ის არის, რომ კომპანიას შეუძლია თავისი აქტივობების შედარება წინა პერიოდის შედეგებთან, ხოლო **უარყოფითი მხარე** ის არის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში აგრეგირებული ინფორმაცია პერიოდიდან პერიოდამდე შესაძლოა შეიცვალოს, ეს კი შედარების დროს განსხვავებებს გამოიწვევს.

- **ვერტიკალური ანალიზი** – უტარდება კონკრეტული ერთი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას. ამის გამო მას სტატიკურ, ანუ არადინამიურ ანალიზსაც უწოდებენ. იგულისხმება, რომ ანგარიშგების ერთი მაჩვენებელი აიღება საბაზისო მაჩვენებლად და ყველა სხვა მაჩვენებელი გამოიხატება მას მიმართ პროცენტულ დამოკიდებულებაში. მაგალითად ბალანსის ანგარიშგებაში ყველა მაჩვენებელი გამოიხატება მთლიანი აქტივების მიმართ პროცენტის სახით, ხოლო მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ყველა მაჩვენებელი გამოიხატება საოპერაციო შემოსავლის მიმართ პროცენტის სახით.
- **ტრენდული ანალიზი** – გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების თითოეული ელემენტის შედარებას წინა წლების მაჩვენებლებთან. მაჩვენებლების პროცენტული ზრდა ან შემცირება გვამღევეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად, ან ცუდად ასრულებს მენეჯმენტი თავის საქმეს და მთლიანობაში როგორ ოპერირებს კომპანია. ფინანსური მაჩვენებლების ტრენდულ სტილში განხილვა და იმის გარკვევა ეს მაჩვენებელი პროცენტულად გაიზარდა, იგივე დარჩა თუ შემცირდა დროთა განმავლობაში, იძლევა სამომავლოდ მოსალოდნელი პროგნოზების გაკეთების საშუალებას.
- **შეფარდებითი (კოეფიციენტური) ანალიზი** – გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მრავალი ელემენტის ერთმანეთთან დამოკიდებულებაში განხილვას, მათი ერთმანეთთან შეფარდებით შესაძლებელი ხდება შეფასდეს კომპანიის მომგებიანობა, გადახდისუნარიანობა და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

- **შედარებითი ანალიზი** – არის ხერხი, რომელიც კონკრეტული საწარმოს ფინანსურ მაჩვენებლებს ადარებს სხვა კონკურენტი საწარმოს ფინანსურ მაჩვენებლებთან. მაჩვენებლები ასევე შესაძლებელია შედარდეს საწარმოს საშუალოდარგობრივ მაჩვენებლებთან.
- **ფაქტორული ანალიზი** – განსაზღვრავს ცალკეული მაჩვენებლების საშედეგო მაჩვენებელზე გავლენას. ფაქტორული ანალიზი შეიძლება იყოს პირდაპირი - როცა შესასწავლი პროცესი დანაწევრდება შემადგენელ ნაწილებად და სინთეზური - როცა ცალკეული ელემენტები გაერთიანდება ერთ საშედეგო მაჩვენებლად.

2.2 სს „თელიანი ველის“ ფინანსური მდგომარეობის ვერტიკალური ანალიზი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს კომპანია „თელიანი ველის“ აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა.

ბალანსის ვერტიკალური ანალიზის დროს საჭიროა სამი საფეხურის გავლა:

1. აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შემადგენელი ელემენტების გადახრების გამოთვლა;
2. აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შემადგენელი ელემენტების სტრუქტურული კოეფიციენტების გამოთვლა და მათი წლის დასაწყისთან შედარება, ხოლო შემდეგ გადახრების გამოთვლა.
3. სტრუქტურული კოეფიციენტების გადახრების დახასიათება და დასკვნების გაკეთება.

ანალიზის ჩასატარებლად საჭიროა გამოვიკვლიოთ ბალანსის შემადგენელი მუხლების ელემენტების ცვლილებები და გავაკეთოთ დასკვნები.

ვერტიკალური ანალიზი 2017 წელი

მიმდინარე აქტივების ცვლილება

	<i>2017</i>	<i>2016</i>	<i>გადახრა</i>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8 682	5 555	3 127
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	8 151	6 181	1 970
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	-	354	(354)
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	312	173	139
გაცემული სესხები	1 108	2 586	(1 478)
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	4 381	3 296	1 085
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3 239	1 873	1 366
სულ მიმდინარე აქტივები	25 873	20 018	5 855

2017 წლის ბოლოს მიმდინარე აქტივები ჯამურად გაიზარდა 5 855 ლარით. ყველაზე მეტად, 3 127 ლარით, გაიზარდა სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რაც გამოწვეული წარმოების ზრდით. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ გაზრდილია რეალიზაციის მოცულობა. ასევე გაზრდილია ფულადი სახსრები, მიუხედავად იმისა, რომ ამავდროულად გაიზარდა სავაჭრო დებიტორული დავალიანებები ყველაზე მეტად შემცირებულია გაცემული სესხები - 1 478 ლარით.

გრძელვადიანი აქტივების ცვლილება

	<i>2017</i>	<i>2016</i>	<i>გადახრა</i>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6 571	6 772	(201)
არამატერიალური აქტივები	171	187	(16)
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	72 165	29 032	43 133
გადახდილი ავანსები	49	99	(50)
სულ გრძელვადიანი აქტივები	78 956	36 090	42 866

2017 წლის ბოლოს გრძელვადიანი აქტივები ჯამურად გაიზარდა 42 866 ლარით. ყველაზე მეტად, 43 133 ლარით, გაიზარდა ინვესტიციები შვილობილ საწარმოში, რაც დადებითი მოვლენაა. ხოლო შემცირდა ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, რაც გამოწვეულია მათი მცირედი ნაწილის გაყიდვით, ცვეთით და ამორტიზაციით.

კაპიტალის ცვლილება

	<i>2017</i>	<i>2016</i>	<i>ცვლილება</i>
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი	5 200	2 771	2 429
დამატებითი შენატანები კაპიტალში	78 748	38 846	39 902
გაუნაწილებელი მოგება/ (აკუმულირებული ზარალი)	5 209	(734)	5 943
სულ კაპიტალი	89 157	40 883	48 274

2017 წლის ბოლოს კაპიტალის ყველა მუხლი გაიზარდა, მათ შორის ყველაზე მეტად გაიზარდა დამატებითი შენატანები კაპიტალში. კომპანიამ დაფარა აკუმულირებული ზარალი და დააგროვა გაუნაწილებელი მოგება 5 209 ლარი.

მოკლევადიანი ვალდებულებების ცვლილება

მოკლევადიანი ვალდებულებები	2017	2016	ცვლილება
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2 098	1 905	193
მოგების გადასახადის დავალიანება	-	685	(685)
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გადახდა	288	-	288
პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები	7 813	4 657	3 156
მიღებული ავანსები	95	142	(47)
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	203	225	(22)
სულ მიმდინარე ვალდებულებები	10 497	7 614	2 883

2017 წლის ბოლოს მოკლევადიანი ვალდებულებები გაიზარდა 2 883 ლარით, თუმცა შემცირდა სამი მუხლი, მათ შორის მოგების გადასახადის დავალიანების ვალდებულება 685 ლარით. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები გაზრდილია, რაც მოსალოდნელი იყო, იმიტომ რომ გაზრდილია ფულადი სახრები.

გრძელვადიანი ვალდებულებების ცვლილება

გრძელვადიანი ვალდებულებები	2017	2016	ცვლილება
პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები	5 175	7 611	(2 436)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	5 175	7 611	(2 436)

2017 წელს შემცირდა გრძელვადიანი პროცენტის სესხები 2 436 ლარით, რაც დადებითი მოვლენაა.

	2017	ბეწ-ის %	2016	ბეწ-ის %	გადახრა
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	6 571	8.3%	6 772	34%	(25.5)
არამატერიალური აქტივები	171	0.2%	187	1%	(0.7)
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	72 165	91.4%	29 032	145%	(53.6)
გადახდილი ავანსები	49	0.1%	99	0%	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	78 956		36 090		
მოკლევადიანი აქტივები					
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8 682	34%	5 555	28%	5.8
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	8 151	32%	6 181	31%	0.6
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	-	0%	354	2%	(1.8)
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	312	1%	173	1%	0.3
გაცემული სესხები	1 108	4%	2 586	13%	(8.6)
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	4 381	17%	3 296	16%	0.5
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3 239	13%	1 873	9%	3.2
სულ მიმდინარე აქტივები	25 873	100%	20 018	100%	
სულ აქტივები	104 829		56 108		
კაპიტალი და ვალდებულებები					
საწესდებო კაპიტალი	5 200	6%	2 771	7%	(0.9)
დამატებითი შენატანები კაპიტალში	78 748	88%	38 846	95%	(6.7)
გაუნაწილებელი მოგება/ (აკუმულირებული ზარალი)	5 209	6%	(734)	-2%	7.6
სულ კაპიტალი	89 157	100%	40 883	100%	
გრძელვადიანი ვალდებულებები					
პროცენტული სესხები და გადასახდელი ანგარიშები	5 175	100%	7 611	100%	0
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	0%	-	0%	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	5 175		7 611		
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2 098	20%	1 905	25%	(5)
მოგების გადასახადის დავალიანება	-	0%	685	9%	(9)
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გადახდა	288	3%	-	0%	2.7
პროცენტული სესხები და გადასახდელი ანგარიშები	7 813	74%	4 657	61%	13.3
მიღებული ავანსები	95	1%	142	2%	(1)
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	203	2%	225	3%	(1)
სულ მიმდინარე ვალდებულებები	10 497	100%	7 614	100%	
სულ ვალდებულებები	15 672		15 225		
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	104 829		56 108		

2017 წლის ბოლოს 53.6 პუნქტით შემცირდა შვილობილ საწარმოში ინვესტიციის პროცენტული წილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნომინალში გაზრდილია. 25.5-ით არის შემცირებული ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილი, თუმცა ნომინალურად ეს ცვლილება უმნიშვნელოა.

2017 წლის ბოლოს ყველაზე მეტად 13.3 პუნქტით გაზრდილია პროცენტური სესხები, ასევე გაზრდილია მატერიალური მარაგები 5.8 პუნქტით, რაც გამოწვეულია წარმოების ზრდით.

კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფიციენტი - ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის ყოველი ერთი ლარი რამდენი ლარის ვალდებულებით არის დატვირთული.

$$\text{კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფიციენტი} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

	<i>2017</i>	<i>2016</i>
კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფიციენტი	0.18	0.37

2016 წლის ბოლოს კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი 0.37 იყო. ეს ნიშნავს, რომ კომპანიის საკუთარი კაპიტალის ყოველი 1 ლარიდან 37 თეთრი დაეთმობა ვალდებულებების გადახდას, თუ ყველა ვალდებულების დაფარვის საჭიროება ერთ დღეს დადგება.

2017 წლის ბოლოს გაიზარდა მთლიანი ვალდებულებები, მაგრამ ამავდროულად გაიზარდა საკუთარი კაპიტალი და კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი 0.18 გახდა. ეს კი ნიშნავს, რომ კაპიტალის ყოველი 1 ლარიდან 18 თეთრი დაეთმობა ვალდებულებების გადახდას, თუ ყველა ვალდებულების დაფარვის საჭიროება ერთ დღეს დადგება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ზოგადი სტრუქტურა

მაჩვენებლები	2017	ხვ/წ-ის %	2016	ხვ/წ-ის %
მიმდინარე აქტივები	25 873	33%	20 018	36%
გრძელვადიანი აქტივები	78 956	77%	36 090	64%
სულ აქტივები	104 829	100%	56 108	100%
ვალდებულებები	15 672	15%	15 225	27%
საკუთარი კაპიტალი	89 157	85%	40 883	73%
სულ დაფინანსების წყაროები	104 829	100%	56 108	100%

2017 წლის ბოლოს შემცირებულია მთლიან აქტივებში მიმდინარე აქტივების წილი, ხოლო გრძელვადიანი აქტივების წილი გაზრდილია. ფულადი საშუალებებიდან ლარის დაბანდება მოხდა გრძელვადიან აქტივებში, რაც მომავალში ეკონომიკური სარგებლის ზრდას გამოიწვევს საწარმოში.

2017 წლის ბოლოს ასევე შემცირებულია მთლიანი ვალდებულებები 15%-მდე და ამავდროულად გაზრდილია საკუთარი კაპიტალი, რადგან განხორციელდა კაპიტალში დამატებითი შენატანები. ორივე მოვლენა დადებითად აისახება საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

2.3 სს „თელიანი ველის“ ფინანსური მდგომარეობის ჰორიზონტალური ანალიზი

ფინანსური მდგომარეობის ჰორიზონტალური ანალიზი გულისხმობს საბალანსო მუხლების დინამიკაში განხილვას. საწყის ეტაპზე შეირჩევა რომელიმე წლის მონაცემები, რომლებიც ჩაითვლება საბაზისოდ, ხოლო შემდეგ, ყოველი მომდევნო წლის მონაცემები განიხილება საბაზისო მონაცემთან მიმართებაში და გამოიკვეთება პროცენტული ცვლილება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების დინამიკური ანალიზი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

1. დინამიკური, ანალიზური ცხრილის შედგენა;
2. პროცენტული დინამიკური ცხრილის შედგენა;
3. საკუთარი საბრუნავი სახსრების დინამიკური ცხრილის შედგენა;
4. დასკვნების გაკეთება ცხრილის აგების შემდეგ;
5. მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების მდგომარეობის გამოკვლევა.

01.01.2016-დან 2017 წლის ბოლომდე სს „თელიანი ველის“ საბალანსო მუხლები ხასიათდება შემდეგი ტენდენციებით:

გრძელვადიანი აქტივებიდან არამატერიალური საშუალებები, გადახდილი ავანსები და ინვესტიციები შვილობილ საწარმოში ხასიათდება ზრდის ტენდენციით, ხოლო ძირითადი საშუალებები კლებადით. მთლიანობაში გრძელვადიანი აქტივები ამ პერიოდის განმავლობაში იზრდებოდა, რაც დადებითი მოვლენაა.

მოკლევადიანი აქტივებიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რაც კომპანიაში ფულის შემოდინებას აფერხებს, ასევე ზრდადია გადახდილი ავანსები და შეზღუდული გულადი სახსრები. მთლიანობაში მიმდინარე აქტივები ამ პერიოდში იზრდებოდა.

კაპიტალის ყველა მუხლი ხასიათდება ზრდადი ტენდენციით.


	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>ცვლილება %</i>	<i>2017</i>	<i>ცვლილება %</i>
გრძელვადიანი აქტივები					
ძირთადი საშუალებები	7 475	6 772	91%	6 571	88%
არამატერიალური აქტივები	75	187	249%	171	228%
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	1 110	29 032	2 615%	72 165	6 501%
გადახდილი ავანსები	-	99	9 900%	49	4 900%
სულ გრძელვადიანი აქტივები	8 660	36 090	417%	78 956	912%
მოკლევადიანი აქტივები					
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7 325	5 555	76%	8 682	119%
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	4 018	6 181	154%	8 151	203%
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	301	354	118%	-	0%
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	158	173	109%	312	197%
გაცემული სესხები	1 539	2 586	168%	1 108	72%
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	2 375	3 296	139%	4 381	184%
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2 619	1 873	72%	3 239	124%
სულ მიმდინარე აქტივები	18 335	20 018	109%	25 873	141%
სულ აქტივები	26 995	56 108	208%	104 829	388%
კაპიტალი და ვალდებულებები					
საწესდებო კაპიტალი	771	2 771	359%	5 200	674%
დამატებითი შენატანები კაპიტალში	12 958	38 846	300%	78 748	608%
გაუნაწილებელი მოგება/ (აკუმულირებული ზარალი)	(2 568)	(734)	29%	5 209	203%
სულ კაპიტალი	11 161	40 883	366%	89 157	799%
გრძელვადიანი ვალდებულებები					
პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები	9 605	7 611	79%	5 175	54%
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	688	-	0%	-	0%
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	10 293	7 611	74%	5 175	50%
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1 273	1 905	150%	2 098	165%
მოგების გადასახადის დავალიანება	607	685	113%	-	0%
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გადახდა	-	-	0%	288	28 800%
პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები	3 143	4 657	148%	7 813	249%
მიღებული ავანსები	-	142	14 200%	95	9 500%
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	518	225	43%	203	39%
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5 541	7 614	137%	10 497	189%
სულ ვალდებულებები	15 834	15 225	96%	15 672	99%
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	26 995	56 108	208%	104 829	388%

გრძელვადიანი ვალდებულებები ხასიათდება კლებადი ტენდენციით, რაც ნიშნავს, რომ საწარმო ფარავდა თავის ნაკისრ ვალდებულებებს, ეს კი დადებითი მოვლენაა.

მოკლევადიანი ვალდებულებებიდან კრედიტორული დავლიანებების მუხლი, მოგების გადასახადის, პროცენტის სესხები და მიღებული ავანსები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო დანარჩენი კლებადით. მთლიანობაში მიმდინარე ვალდებულებებს ზრდის ტენდენცია აქვთ, რაც ნიშნავს, რომ საწარმოს თავისი საოპერაციო საქმიანობის განხორციელების პროცესში სულ უფრო მეტი მოკლევადიანი ვალდებულების აღება ჭირდება. ამის მიზეზი გაურკვეველია, რადგან ყოველ წელს მატულობდა საკუთარ კაპიტალში შენატანები.

პროცენტული დინამიკური ცხრილი

	საბაზისო		ცვლილება %		
	01.01.2016	2016	2016	2017	
მიმდინარე აქტივები	18 335	20 018	109%	25 873	141%
გრძელვადიანი აქტივები	8 660	36 090	417%	78 956	912%
სულ აქტივები	26 995	56 108	208%	104 829	388%
მიმდინარე ვალდებულებები	5 541	7 614	137%	10 497	189%
გრძელვადიანი ვალდებულებები	10 293	7 611	74%	5 175	50%
სულ ვალდებულებები	15 834	15 225	96%	15 672	99%
საკუთარი კაპიტალი	11 161	40 883	366%	89 157	799%



აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის პროცენტული დინამიკური ცხრილიდან და გარაფიკიდან ირკვევა შემდეგი ინფორმაცია:

- მიმდინარე აქტივები 109% და 141%-ით გაიზარდა, რაც დადებითი მოვლენაა;
- გრძელვადიანი აქტივები 417% და 912%-ით გაიზარდა, რაც კარგია კომპანიისთვის, რადგან გრძელვადიანი აქტივების ზრდა სამომავლოდ განაპირობებს ეკონომიკური სარგებლის ზრდას;
- მიმდინარე ვალდებულებები 137% და 189%-ით გაიზარდა, რაც გამოიწვევს კომპანიიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის გადინებას;
- გრძელვადიანი ვალდებულებები შემცირებადი ტენდენციით ხასიათდებოდა (74% და 50%) რაც დადებითი მოვლენაა საწარმოსთვის;
- საკუთარი კაპიტალი 366% და 799%-ით გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო დამატებითი შენატანებით.

საკუთარი საბრუნავი სახსრების დინამიკური ცხრილი

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
სულ მიმდინარე აქტივები	18 335	20 018	25 873
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5 541	7 614	10 497
საკუთარი საბრუნავი სახსრები	12 794	12 404	15 376
მატერიალური მარაგები	7 325	5 555	8 682
სსს-ის წილი მატერიალური მარაგებში %	175%	223%	177%

კომპანიის საკუთარი საბრუნავი სახსრები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ხოლო სსს მარაგების 175%-ია, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას ფინანსური სირთულეები არ აწუხებს. ეს მაჩვენებელი შემდეგ წლებში გაუმჯობესებულია, რაც კიდევ უფრო ამყარებს ფინანსურ მდგომარეობას.

გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილები

	<i>01.01.2016</i>	<i>%</i>	<i>2016</i>	<i>%</i>	<i>2017</i>	<i>%</i>
სულ გრძელვადიანი აქტივები	8 660	32%	36 090	64%	78 956	75%
სულ მიმდინარე აქტივები	18 335	68%	20 018	36%	25 873	25%
სულ აქტივები	26 995		56 108		104 829	

ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტი

	<u>2016</u>	<u>2017</u>
ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტი	0.0204	0.0558

2016 წლის განმავლობაში შეიძინეს 224 ლარის და გაყიდეს 109 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები და შესაბამისად წლის ბოლოს შეადგინა 10,956 ლარი. 2017 წლის განმავლობაში კი კომპანიამ შეიძინა 647 ლარის და გაყიდა 21 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტი

	<u>01.01.2016</u>	<u>2016</u>	<u>2017</u>
ცვეთის კოეფიციენტი	35.92 %	43.67 %	44.97 %

2016 წლის 1 იანვარს კომპანიას გააჩნდა 3,366 ლარის დაგროვილი ცვეთა. გრძელვადიან აქტივებში შედის მიწა და გაშენებული ვენახი, რომლებსაც ცვეთა არ ერიცხებათ, ამიტომ მათი ჯამური ღირებულება (432 ლარი) გამოირიცხა ისტორიული ღირებულებიდან და გამოყენებულ იქნა 9,370 ლარის გრძელვადიანი აქტივები. აქედან გამომდინარე, 2016 წლის 1 იანვრისთვის ცვეთის კოეფიციენტი გამოვიდა 35.92%.

2016 წლის განმავლობაში კომპანიას გააჩნდა 4,184 ლარის დაგროვილი ცვეთა, ხოლო აქტივების ღირებულებამ მიწისა და გაშენებული ვენახის ღირებულების გამორიცხვის შემდეგ შეადგინა 9,580 ლარი. ცვეთის კოეფიციენტი წლის დასაწყისთან შედარებით გაიზარდა და გახდა 43.67%.

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ შეიძინა 647 ლარის და გაყიდა 21 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები და წლის ბოლოს შეადგინა 11,582 ლარი. მიწისა და გაშენებული ვაზის ღირებულების გამორიცხვის შემდეგ დარჩა 11,143 ლარი, ხოლო დაგროვილი ცვეთა 5,011 ლარი. ცვეთის კოეფიციენტი კვლავ გაიზარდა და გახდა 44.97%.

ცვეთის კოეფიციენტის ზრდა მიანიშნებს, რომ ძირითადი საშუალებების სულ უფრო მეტი რაოდენობა გადოდა წარმოებული პროდუქციის თვიღირებულებაში.

წმინდა აქტივები

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
სულ აქტივები	26 995	56 108	104 829
სულ ვალდებულებები	15 834	15 225	15 672
წმინდა აქტივები	11 161	40 883	89 157
წმინდა აქტივების % ზრდა		366%	799%

კომპანიის წმინდა აქტივები 2016 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 11,161 ლარს.

2016 წლის ბოლოს კომპანიის წმინდა აქტივები გაიზარდა და შეადგინა 40,883 ლარი. წლის დასაწყისთან შედარებით, 266%-ით არის გაზრდილი, რაც დადებითი მოვლენაა. 2017 წლის ბოლოს კი წმინდა აქტივებმა შეადგინა 89,157 ლარი, რაც ნიშნავს 118%-იან ზრდას 2016 წელთან შედარებით, ხოლო 699%-იან ზრდას 2016 წლის 1 იანვართან შედარებით.

ბოლო 3 წლის განმავლობაში ყოველ წელს იზრდება წმინდა აქტივების რაოდენობა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა უმჯობესდება.

თავი 3. ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტური ანალიზი

3.1 ფინანსური კოეფიციენტების არსი

კოეფიციენტი – მათემატიკურად არის ერთი რაოდენობის მეორე რაოდენობასთან შედარება. ფინანსური კოეფიციენტი კი გამოხატავს ორი ფინანსური მაჩვენებლის ერთმანეთთან შედარებას შედარებას, თუმცა ის მხოლოდ რიცხობრივი გამოსახულება არ არის და მას თან ერთვის ფინანსური განმარტება იმის შესახებ თუ რას ნიშნავს ეს თანაფარდობა.

კოეფიციენტების დაჯგუფება შეიძლება იყოს მათი კონსტრუქციისა და მახასიათებლის შინაარსის მიხედვით:

- **მოქმედების ზონის კოეფიციენტი** – ზომავს კომპანიის უნარს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.
- **დაბრუნების კოეფიციენტი** – ზომავს წმინდა სარგებელს, რომელიც მიიღება გაფართოებული რესურსების ხარჯზე.
- **ბრუნვის კოეფიციენტი** – ზომავს მთლიან სარგებელს, რომელიც მიიღება გაფართოებული რესურსების ხარჯზე.
- **კომპონენტის კოეფიციენტი** – პროცენტულად ზომავს ორ სიდიდეს ერთმანეთთან მიმართებაში.

კომპანიის ოპერირებისა და ფინანსური შედეგების შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის გარკვევა თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს იგი თავის აქტივებს და რამდენად შეუძლია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

არსებობს ექვსი ასპექტი, რომელთა მიხედვით შესაძლებელია შეფასდეს კომპანიის საქმიანობა და ფინანსური მდგომარეობა. ეს კი შესაძლებელია შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებით:

1. **ლიკვიდურობის კოეფიციენტი** – იძლევა ინფორმაციას კომპანიის უნარზე, დაუყონებლივ დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები.
2. **ფინანსური მდგრადობის (სტაბილურობის) კოეფიციენტი** – იძლევა ინფორმაციას საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შესახებ.
3. **მომგებიანობის კოეფიციენტი** – იძლევა ინფორმაციას კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან მომგებიანობის შესახებ.
4. **საქმიანობის აქტივობის კოეფიციენტი** – აფასებს კომპანიის მიერ საკუთარი რესურსების სწორად გამოყენების უნარს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. **ლიკვიდურობის კოეფიციენტები:**

- საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (მჟავა-ტესტი);
- აბსოლუტური ლიკვიდურობის (ფულის) კოეფიციენტი;
- საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი;
- ფულადი უსაფრთხოების კოეფიციენტი.

2. **ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები:**

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ფინანსური დაკიდებულების/დამოუკიდებლობის კოეფიციენტი;
- საკუთარი სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- საკუთარი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი;
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი;

- გრძელვადიან ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი;
- ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი.

3. საქმიანი აქტივობის შეფასების კოეფიციენტები:

- საბრუნავი სახსრების ბრუნვის რიცხვი;
- საბრუნავი სახსრების ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში;
- მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი;
- დებიტორული დავალიანების ამოღების კოეფიციენტი;
- საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობის კოეფიციენტი;

4. მომგებიანობის კოეფიციენტები:

- ფასნამატი
- მოგების ნორმა (მარჟა)
- პროდუქციის წარმოების რენტაბელობა;
- ავანსირებული კაპიტალის რენტაბელობა;
- საკუთარი კაპიტალის მომგებიანობა;
- კაპიტალის უკუგება.

3.2 სს „თელიანი ველის“ ლიკვიდურობის შეფასება

ლიკვიდურობის კოეფიციენტები

ლიკვიდურობის კოეფიციენტი ხარისხობრივად გამოხატავს კომპანიის უნარს, დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები ყველაზე ლიკვიდური აქტივების დახმარებით. ასეთი აქტივები მიმდინარე აქტივებია. მიმდინარე აქტივებს ხშირად **სამუშაო კაპიტალს** უწოდებენ, რადგან სწორედ მისი დახმარებით ახერხებს ნებისმიერი კომპანია ყოველდღიური ოპერაციების განხორციელებას. მიმდინარე აქტივები გამოიყენება მოკლევადიანი ობლიგაციებისა და მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად.

ლიკვიდურობის კოეფიციენტებია:

- **საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი** – მიმდინარე აქტივების შეფარდება მიმდინარე ვალდებულებებთან, რომელიც გამოხატავს კომპანიის უნარს დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები. გარდა ამისა, საჭიროა კომპანიას გააჩნდეს დამატებითი რეზერვი გაუთვალისწინებელი მოვლენებისთვის.

$$\text{საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

- **სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (მყავა-ტესტი)** – ლიკვიდურობის კოეფიციენტის მსგავსია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მიმდინარე აქტივებიდან ელიმინირდება მარაგები და გამოიყენება მხოლოდ ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი მოთხოვნები. ამ კოეფიციენტის გამოყენებისას გასათვალისწინებელია, თუ რომელ ინდუსტრიაში ოპერირებს ორგანიზაცია და ის ფაქტი, რომ ზოგიერთი კომპანიას მარაგების ფულად გადაქცევა უფრო სწრაფად შეუძლია, ვიდრე დებიტორებისგან ფულის დაბრუნება. ამ კოეფიციენტის იდეალური მაჩვენებელი 1-ის ტოლია.

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი სახსრები} + \text{მოკლევადიანი მოთხოვნები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

- ფულის (აბსოლუტური ლიკვიდურობის) კოეფიციენტი – უფრო კონსერვატიულია, ვიდრე სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი. იგი გამოითვლება ფულისა და მასთან გათანაბრებული სახსრების შეფარდებით მოკლევადიან ველდებულებებთან. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაკლებად მოსალოდნელია ყველა კრედიტორმა ერთდროულად მოსთხოვოს კომპანიას ფულის დაბრუნება. ამიტომაც ამ კოეფიციენტისთვის მისაღები ნორმა 0.2-დან 0.3-მდეა.

$$\text{ფულის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი სახსრები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

- საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი – გვიჩვენებს თუ რა რაოდენება უჭირავს ფულად სახსრებს საკუთარ საბრუნავ სახსრებში. ანუ წმინდა მიმდინარე აქტივების რა ნაწილია ფულადი საშუალებები. ეს კოეფიციენტი 0-დან 1-მდე მერყეობს და რაც უფრო მეტია ის, მით უფრო მეტია თავისუფალი ფულადი სახსრები საწარმოში.

$$\text{სსს მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი სახსრები}}{\text{საკუთარი საბრუნავი საშუალებები}}$$

სს „თელიანი ველის“ ლიკვიდურობის შეფასება

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
სულ მიმდინარე აქტივები	18 335	20 018	25 873
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5 541	7 614	10 497
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	3.31	2.63	2.46

2016 წლის 1 იანვრისთვის კომპანიის ლიკვიდურობის კოეფიციენტმა შეადგინა 3.31 რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და მიანიშნებს, რომ კომპანიას სავსებით შეუძლია ყველა მიმდინარე ვალდებულება ერთდროულად დაფაროს და დარჩეს რესურსები ფუნქციონირებისთვის.

2016 წლის ბოლოს ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა და გახდა 2.63, თუმცა მიმდინარე აქტივები კვლავ საკმაოდ აჭარბებს მიმდინარე ვალდებულებებს.

2017 წლის ბოლოს ლიკვიდურობის კოეფიციენტი კვლავ შემცირდა წინა წელთან შედარებით და 2.46 გახდა, თუმცა ამჯერადაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და კომპანიას შეუძლია ყველა მიმდინარე ვალდებულების დაფარვა.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (მჟავა-ტესტი)

იმისათვის, რომ უკეთ შევიქმნათ წარმოდგენა კომპანიის გადახდისუნარიანობაზე, შევაფასოთ მისი სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2016 წლის 1 იანვრის, 2016 და 2017 წლის ბოლოსთვის.

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
ფულადი სახსრები და დებიტორული დავალიანებები	6 637	8 054	11 921
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5 541	7 614	10 497
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.2	1.06	1.14

2016 წლის 1 იანვრისთვის სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეადგენდა 1.2 რაც ნორმალური მაჩვენებელია.

2016 წლის ბოლოსთვის ეს კოეფიციენტი წლის დასაწყისთან შედარებით შემცირდა და გახდა 1.06 თუმცა მიმდინარე ვალდებულებებს მცირედით მაინც აჭარბებს

ფულადი სახსრები და მოთხოვნები.

2017 წლის ბოლოს კი ეს კოეფიციენტი გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 1.14 გახდა.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპანია თავისუფლად შეეძლო დაეფარა მიმდინარე ვალდებულებები ფულადი სახსრებითა და მოკლევადიანი მოთხოვნების გამოყენებით.

აბსოლუტური ლიკვიდურობა (ფულის კოეფიციენტი)

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
ფულადი სახსრები	2 619	1 873	3 239
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5 541	7 614	10 497
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.47	0.25	0.31

2016 წლის 1 იანვრისთვის კომპანიას აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეადგენდა 0.47 რაც საკმაოდ ნორმალური მაჩვენებელია.

2016 წლის ბოლოს ეს კოეფიციენტი შემცირდა 0.25-მდე, რაც გამოწვეულია ფულადი სახსრების შემცირებითა და მიმდინარე ვალდებულებების ზრდით.

2017 წლის ბოლოსთვის კი ეს კოეფიციენტი გახდა 0.31 რაც გამოწვეულია ფულადი სახსრების ზრდით, მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიანი ვალდებულებებიც გაიზარდა.

იგულისხმება, რომ კომპანიას სამივე წელს შეეძლო თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების 47%-ის, 25%-ისა და 31%-ის მყისიერად, ფულადი სახსრებით დაფარვა. ეს კი საკმაოდ მყარ ფინანსურ მდგომარეობას ნიშნავს.

საკუთარი საბრუნავი სახსრები

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
მიმდინარე აქტივები	18 335	20 018	25 873
მიმდინარე ვალდებულებები	5 541	7 614	10 497
საკუთარი საბრუნავი სახსრები	12 794	12 404	15 376

საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდა დადებითი მოვლენაა. ეს ნიშნავს, რომ კომპანიის მიმდინარე აქტივები სულ უფრო მეტად აჭარბებს მიმდინარე ვალდებულებებს და არ იზღუდება საოპერაციო საქმიანობის განხორციელების დროს.

საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
ფულადი სახსრები	2 619	1 873	3 239
საკუთარი საბრუნავი სახსრები	12 794	12 404	15 376
სსს მანევრირების კოეფიციენტი	0.2	0.15	0.21

2016 წლის 1 იანვრისთვის სსს მანევრირების კოეფიციენტი შეადგენდა 0.2 რაც გულისხმობს რომ სსს-ის 20% თავისუფალი ფულის სახით გააჩნდა კომპანიას.

2016 წლის ბოლოსთვის ეს კოეფიციენტი შემცირდა და შეადგენდა 0.15 ანუ კომპანიას უფრო ნაკლები თავისუფალი ფულადი სახსრები გააჩნდა ამ დროისთვის.

2017 წლის ბოლოსთვის ეს კოეფიციენტი გაიზარდა 0.21-მდე, რაც გამოწვეული იყო წინა წლებთან შედარებით ფულადი სახსრების ზრდით და მიმდინარე ვალდებულებების შემცირებით.

ლიკვიდურობის შეფასება

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ლიკვიდურობის ყველა კოეფიციენტები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, კომპანია საკმაოდ ლიკვიდურია და შეუძლია დროულად დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.

3.3 სს „თელიანი ველის“ სტაბილურობისა და მომგებიანობის შეფასება

ფინანსური სტაბილურობის შეფასება

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იყენებს იგი თავის რესურსებს და როგორ ანაწილებს მათ. სწორედ რესურსების გონივრული განაწილება უზრუნველყოფს საწარმოს განვითარებას, მოგების ზრდას და გადახდისუნარიანობას.

ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით განასხვავებენ ოთხ ტიპს:

- აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- კრიზისული (კირტიკული) ფინანსური მდგომარეობა.

აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა – ასეთ დროს კომპანიის მარაგები და დანახარჯები მთლიანად არის უზრუნველყოფილი საკუთარი საბრუნავი სახსრებით. ეს მდგომარეობა გამოიხატება შემდეგი თანაფარდობით:

საკუთარი საბრუნავი სახსრები > მატერიალური მარაგები

ასეთი თანაფარდობა მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიას არ ჭირდება დაფინანსების გარე წყაროები. შესაბამისად, მსგავსი ტიპის სიტუაცია ძალიან იშვიათია პრაქტიკაში. სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, საკუთარი საბრუნავი სახსრები მინიმუმ 50% უნდა იყოს მატერიალური მარაგების.

ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა – მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველყოფა ხდება საკუთარი საბრუნავი სახსრებითა და კომპანიის გარე წყაროდან ნასესხები რესურსების ხარჯზე.

საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალური მარაგები < დაფარვის „ნორმალური წყაროები“

საკუთარი საბრუნავი სახსრების, კრედიტორული დავალიანებების, მოკლევადიანი სესხებისა და მიღებული ავანსების ერთობლიობას დაფარვის „ნორმალური წყაროები“ ეწოდება.

არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა – ასეთ დროს, კომპანია არასტაბილურ მდგომარეობაშია და ვერ ახერხებს მარაგებისა და ხარჯების დაფარვას საკუთარი საბრუნავი სახსრებისა და დაფარვის „ნორმალური წყაროების“ მეშვეობით. ამ ვითარებაში კომპანია იძულებულია, გამოიყენოს გრძელვადიანი სესხები და ყველა სხვა ხელმისაწვდომი საშუალება.

დაფარვის „ნორმალური წყაროები“ < მატერიალური მარაგები

კრიტიკული (კრიზისული) ფინანსური მდგომარეობა – ასეთ დროს საწარმო გაკოტრების ზღვარზე იმყოფება, რაც გამოწვეულია იმით, რომ საწარმოს აქვს გადაუხდელი, ვადაგადაცილებული, კრედიტორული დავალიანებები და სესხები. კრიზისული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ერთადერთი გზა დაფინანსების მოზიდვაა, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმო გაკოტრებულად უნდა გამოცხადდეს.

ფინანსური სტაბილურობის გასარკვევად, საჭიროა კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის შესწავლა. ამის შემდეგ შესაძლებელია დასკვნების გამოტანა კომპანიის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით, შეძლებს, თუ არა ის კრედიტორული დავალიანებების დაფარვას.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი კოეფიციენტების გამოყენება:

- **საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი** – გამოხატავს საწარმოს მესაკუთრეთა წილს საწარმოს მთლიან აქტივებში. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო ფინანსურად მდგრადია საწარმო. სასურველია, რომ მისი მნიშვნელობა 0.5-ს აღემატებოდეს.

$\text{საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}}$
--

ამავდროულად ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სასურველია საკუთარი კაპიტალი აღემატებოდეს მოზიდული სახსრების რაოდენობას, რადგან ამ დროს უფრო დიდი შანსია კომპანიამ დაფაროს თავისი ვალდებულებები.

- **ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი** – საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული სიდედეა და გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება აქტივები საკუთარ კაპიტალს. თუ ეს მაჩვენებელი იზრდება, ნიშნავს რომ იზრდება მოზიდული სახსრების რაოდენობაც და ფინანსური სტაბილურობაც რისკის ქვეშ დგება.

$$\text{ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

- **ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი** – აჩვენებს კომპანიის საკუთარი კაპიტალის წილს დაფინანსების ყველა წყაროსთან (საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები) მიმართებაში. ამ კოეფიციენტის 1-მდე მიახლოება ნიშნავს, რომ კომპანიას გააჩნია უფრო მეტი საკუთარი, ვიდრე გარე წყაროდან მოზიდული სახსრები. ამ კოეფიციენტს აქვს შემდეგი სახე:

$$\text{ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{ვალდებულებები} + \text{კაპიტალი}}$$

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი ზუსტად ტოლია საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის, რადგან მთლიანი აქტივები=ვალდებულებები + კაპიტალი.

- **საკუთარი სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი** – აჩვენებს, აქტივების რა ნაწილია შემენილი საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.

$$\text{საკუთარი სახსრების კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}}$$

- **ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი** – აჩვენებს, აქტივების რა ნაწილია შეძენილი გარე წყაროდან ნასესხები სახსრების ხარჯზე. ამ კოეფიციენტს აქვს შემდეგი სახე:

$$\text{ნასესხები სახსრების კოეფიციენტი} = \frac{\text{ნასესხები სახსრები}}{\text{მთლიანი აქტივები}}$$

- **საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი** – გამოსახავს საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში. ამ კოეფიციენტისთვის ერთი რომელიმე მისაღები დონე არ არსებობს და მისი სიდიდე დამოკიდებულია ინდუსტრიის სფეროზე.

$$\text{საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{საბრუნავი სახსრები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

- **გრძელვადიან ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი** – ახასიათებს პასივების სტრუქტურას, კერძოდ, განსაზღვრავს იმ წილს, რომელიც უჭირავს გრძელვადიან ვალდებულებებს კაპიტალსა და მთლიან ვალდებულებებთან მიმართებაში. ამ მაჩვენებლის ზრდა ნიშნავს, რომ კომპანია დამოკიდებულია გარე წყაროდან მიღებულ გრძელვადიან სესხებზე.

$$\text{გრძელვ. ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიცი.} = \frac{\text{გრძელვ. ვალდ.}}{\text{გრძელვ. ვალდ. + საკ. კაპიტ.}}$$

- **საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი** – ახასიათებს საწარმოს ზოგად ფინანსურ მდგომარეობას, კერძოდ, რაც უფრო მეტია საკუთარი სახსრების ოდენობა ნასესხებ სახსრებთან შედარებით, მით უფრო მყარია საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. ამ კოეფიციენტის ზრდა სასურველველია, რადგან მცირდება ფინანსური რისკები. კოეფიციენტის მინიმალური ზღვარი ერთის ტოლია, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ საწარმო ფინანსურ სირთულეებს განიცდის.

$$\text{საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიცი.} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოზიდული კაპიტალი}}$$

ლევერიჯის კოეფიციენტები

- **ფინანსური ლევერიჯი** გულისხმობს კომპანიის სესხებსა და კაპიტალს შორის კავშირების კვლევასა და მიზნად ისახავს კომპანიის მოგების გაზრდას აქტივებისა და პასივების ოპტიმიზაციის გზით. იგი განსაზღვრავს გრძელვადიანი ვალდებულებების წილს გამოყენებულ კაპიტალის თანხაში და მისი ზრდა დინამიკაში უარყოფითია მაჩვენებელია.

განასხვავებენ ორი სახის ლევერიჯის:

1. ფინანსური ლევერიჯი;
2. ოპერაციული ლევერიჯი;

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები:

- კაპიტალის ლევერიჯი – აქტივების, საკუთარი კაპიტალის და ჯამური ლევერიჯი;
- პროცენტის ლევერიჯი.

ლევერიჯის ყველა კოეფიციენტი ზომავს ერთსა და იმავე სიდიდეს, მაგრამ წინა პერიოდის, ან სხვა კომპანიასთან შედარებისთვის გამოიყენება შესაბამისი კოეფიციენტი.

- **ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი** – ეს კოეფიციენტი განსაზღვრავს, თუ რა ნაწილია დაფინანსებული მთლიანი აქტივების საკუთარი კაპიტალით. ამ კოეფიციენტისთვის მინიმალური და საუკეთესო მაჩვენებელი ერთის ტოლია. რაც უფრო დიდია ეს კოეფიციენტი, მით უფრო მეტი ნასესხები საშუალებები აქვს კომპანიას და, შესაბამისად, მეტი აქვს გადასახდელი პროცენტებიც. ამ მაჩვენებლის დინამიკაში ზრდა მიანიშნებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე.

$$\text{ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი აქტვები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

- **კაპიტალის ლევერიჯის კოეფიციენტი** – გაანგარიშება ხდება კომპანიის ბალანსში ასახული ინფორმაციის მიხედვით. ეს კოეფიციენტიც იგივე სიდიდეს აჩვენებს რასაც წინა კოეფიციენტი, ანუ გარე წყაროდან მოზიდული სახსრების თანაფარდობას

საკუთარ კაპიტალთან. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლის გაანგარიშებისას იდეალური ვარიანტი იქნებოდა აქციების საბაზრო ღირებულებით შეფასება, რადგან სწორედ საბაზრო თანხის გადახდა მოუწევს კომპანიას, თუ დააპრებს კაპიტალის დაფარვას, თუმცა ხშირად დაფინანსების ყველა წყაროს საბაზრო მეთოდით შეფასება ვერ ხერხდება, ამიტომაც ძირითადად იყენებენ საბალანსო (ისტორიულ) მეთოდს.

$$\text{კაპიტალის ლევერიჯი} = \frac{\text{სესხები} + \text{პრივილეგიური კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები} - \text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

- **პროცენტის ლევერიჯი** – ამ მაჩვენებლის გაანგარიშებისას პრივილეგიური აქციები განიხილება, როგორც სესხები და მათზე გადასახდელი დივიდენდები, როგორც სესხის პროცენტი.

$$\text{პროცენტების ლევერიჯი} = \frac{\text{სავალო პროცენტები}}{\text{მოგება პროცენტებისა და გადასახადების გამოკლებამდე}}$$

ამ კოეფიციენტის მეშვეობით ფასდება კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. სესხის აღებისას, ყურადღება უნდა მიექცეს კომპანიის მოგებისა და ფულად ნაკადების ზრდის ტემპს, რათა დავრწმუნდეთ, რომ კომპანია შეძლებს სესხის დაფარვას.

- **ოპერაციული ლევერიჯი** – ასახავს კონკრეტული საწარმოს დანახარჯების სტრუქტურას, ანუ ყოფს დანახარჯებს მუდმივ და ცვალებად ხარჯებად. ცვლადია ის დანახარჯი, რომელიც პროდუქციის გამოშვების ზრდასთან ერთად იზრდება, ხოლო მუდმივია ის დანახარჯი, რომელიც პროდუქციის გამოშვების სისდიდის მიუხედავად ერთი და იგივეა. ოპერაციული ლევერიჯი შესაძლებელია გამოითვალოს ერთ-ერთი შემდეგი კოეფიციენტით:

$$\text{ოპერაციული ლევერიჯი} = \frac{\text{მუდმივი ხარჯები}}{\text{ცვლადი ხარჯები}}$$

$$\text{ოპერაციული ლევერიჯი} = \frac{\text{EBIT} - \text{ის \% ცვლილება}}{\text{გაყიდვებიდან ამონაგების \% ცვლილება}}$$

EBIT – ნიშნავს მოგებას პროცენტებისა და გადასახადების გამოკლებამდე.

სს „თელიანი ველის“ ფინანსური სტაბილურობის შეფასების კოეფიციენტები

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება:

	<i>საკუთარი საბრუნავი სახსრები</i>		<i>მატერიალური მარაგები</i>	<i>ფინანსური მდგომარეობა</i>
<i>01.01.2016</i>	12,794	>	8,682	აბსოლუტურად მდგრადი
<i>2016</i>	12,404	>	5,555	აბსოლუტურად მდგრადი
<i>2017</i>	15,376	>	8,682	აბსოლუტურად მდგრადი

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა სამივე წელს აბსოლუტურად მდგრადი იყო, რაც იშვიათი მოვლენაა.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
საკუთარი კაპიტალი	11 161	40 883	89 157
სულ აქტივები	26 995	56 108	104 829
საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0.41	0.73	0.85

2016 წლის 1 იანვრის მიხედვით საკუთარი კაპიტალი მთლიანი აქტივების 41%-ია რაც ნორმალური მაჩვენებელია.

2016 წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი გაიზარდა და გახდა 73%, რაც გამოწვეული იყო საკუთარი კაპიტალის ზრდით, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი აქტივებიც გაიზარდა.

2017 წლის ბოლოს ეს მაჩვენებელი კვლავ გაიზარდა და გახდა 85%, რაც კვლავ გამოწვეული იყო საკუთარი კაპიტალის ზრდით.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ბოლო სამი წლის განმავლობაში იზრდებოდა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია ფინანსურად მდგრადია.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი:

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
სულ აქტივები	26 995	56 108	104 829
საკუთარი კაპიტალი	11 161	40 883	89 157
ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი:	2.42	1.37	1.18

2016 წლის 1 იანვრის შემდეგ ბოლო სამი წლის მონაცემები აჩვენებს, რომ ეს კოეფიციენტი მცირდებოდა. ეს ნიშნავს, რომ მოზიდული სახსრების რაოდენობა მცირდებოდა, რაც დადებითი მოვლენაა.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
საკუთარი კაპიტალი	11 161	40 883	89 157
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	26 995	56 108	104 829
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.41	0.73	0.85

2016 წლის 1 იანვრის შემდეგ იზრდებოდა ფინანსური დამოუკიდებლობის (საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის) კოეფიციენტი, რაც გამოწვეული იყო კაპიტალში დამატებითი შენატანებისა და 2017 წელის გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე. ამ კოეფიციენტის ზრდა ნიშნავს, რომ კომპანიას პასივებში სულ უფრო მეტი წილი უჭირავს საკუთარ სახსრებს.

ნასესხები სახსრების კოეფიციენტი

საკუთარი სახსრების კოეფიციენტებიდან ჩანს, რომ **ნასესხები სახსრები** 59%, 27% და 15%—ია ბოლო 3 წლის მონაცემებით. თვალსაჩინოების მიზნით წარმოვადგინოთ ისინი.

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
სულ ვალდებულებები	15 834	15 225	15 672
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	26 995	56 108	104 829
ნასესხები სახსრების კოეფიციენტი	0.59	0.27	0.15

2016 წლის 1 იანვრის შემდეგ მთლიან პასივებში მცირდება გარე დაფინანსების წყაროები, რაც გამოწვეულია კაპიტალში განხორციელებული დამატებითი შენატანებით. გამოდის,

რომ კომპანიას სულ უფრო მეტად შეუძლია აქტივების საკუთარი სახსრებით დაფინანსება, რაც დადებითი მოვლენაა.

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
საკუთარი საბრუნავი სახსრები	12 794	12 404	15 376
საკუთარი კაპიტალი	11 161	40 883	89 157
საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	1.15	0.30	0.17

2016 წლის 1 იანვრისთვის საკუთარ საბრუნავ სახსრებში მთლიანად იყო დაბანდებული საკუთარი კაპიტალი და დამატებით 15% გრძელვადიანი ვალდებულებით.

2016 წლის ბოლოს მთლიანი კაპიტალის 30% იყო დაბანდებული საკუთარ საბრუნავ სახსრებში, ხოლო 2017 წელს კი 17%.

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი კლებადი ტენდენციით ხასიათდება, რაც ნიშნავს, რომ კომპანია არ იყენებს გრძელვადიან ვალდებულებებს საბრუნავი სახსრების დასაფინანსებლად.

გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
გრძელვადიანი ვალდებულებები	10 293	7 611	5 175
გრძელვადიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	21 454	48 494	94 332
საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	0.48	0.16	0.05

2016 წლის 1 იანვრისთვის გრძელვადიან ვალდებულებებსა და კაპიტალში გრძელვადიან ვალდებულებებს 48% , 2016 წელს 16%, ხოლო 2017 წელს 5%. საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი კლებადი ტენდენციით ხასიათდება, რაც გამოწვეულია გრძელვადიანი ვალდებულებების შემცირებით და საკუთარი კაპიტალის ზდით. ამ კოეფიციენტის შემცირება დადებითი მოვლენაა.

საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
საკუთარი კაპიტალი	11 161	40 883	89 157
სულ ვალდებულებები	15 834	15 225	15 672
საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი	0.70	2.69	5.69

2016 წლის 1 იანვრისთვის საკუთარი კაპიტალი მოზიდული სახსრების 70%-ს შეადგენდა, ხოლო 2016 წლის ბოლოს 2.7-ჯერ აჭარბებდა. ამ კოეფიციენტის ზრდა გამოწვეული იყო საკუთარი კაპიტალის ზრდითა და მოზიდული სახსრების შემცირებით. 2017 წლის ბოლოს ეს კოეფიციენტი უკვე 5.7-ჯერ აჭარბებდა მოზიდულ სახსრებს, მიუხედავად იმისა, რომ მოზიდული სახსრების რაოდენობა გაიზარდა. ეს მატება კვლავ გამოწვეული იყო საკუთარი კაპიტალის ზრდით.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი

	<i>01.01.2016</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
მთლიანი აქტივები	26 995	56 108	104 829
საკუთარი კაპიტალი	11 161	40 883	89 157
ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი	2.42	1.37	1.18

2016 წლის 1 იანვარს მთლიანი აქტივები 2.42-ჯერ აღემატებოდა საკუთარ კაპიტალს, 2016 წლის ბოლოს კი ეს კოეფიციენტი საგრძნობლად შემცირდა და გახდა 1.37 მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი აქტივების რაოდენობა გაიზარდა. 2017 წლის ბოლოსთვის კვლავ შემცირდა ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით და გახდა 1.18. ორივე შემთხვევაში შემცირება გამოწვეული იყო კაპიტალში დამატებითი შენატანებით. ამ კოეფიციენტის შემცირება დადებითი მოვლენაა.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი ბოლო 3 წლის განმავლობაში მუდმივად მცირდებოდა, რაც ნიშნავს რომ კომპანია სულ უფრო ნაკლებად საჭიროებდა გარე დაფინანსებას და შესაბამისად ნაკლები პროცენტების გადახდა უწევდა.

საწარმოს მომგებიანობის შეფასება

ფინანსური ანალიზის დროს დიდი ყურადღება ეთმობა საწარმოს მომგებიანობის შეფასებას, რადგან სწორედ მომგებიანობაზეა დამოკიდებული საწარმოს გადახდისუნარიანობა, კრედიტუნარიანობა და სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლები.

მოგება არის დადებითი სხვაობა შემოსავალსა და ყველა ხარჯს შორის. მოგებას ახასიათებენ **აბსოლუტური მაჩვენებლები**, ხოლო მომგებიანობას **ფარდობითი მაჩვენებლები**.

აბსოლუტური მაჩვენებლების საშუალებით მოგება რამდენიმე დონეზე გაიანგარიშება:

- საერთო მოგება;
- საოპერაციო მოგება;
- მოგება დაბეგვრამდე;
- წმინდა მოგება;
- გაუნაწილებელი მოგება;

საერთო მოგება – გამოითვლება რეალიზებული პროდუქციიდან მიღებულ შემოსავალს გამოკლებული რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.

საოპერაციო მოგება – საერთო მოგებას გამოკლებული ყველა ტიპის ადმინისტრაციული და არაპირდაპირი ხარჯი, გარდა ფინანსური ხარჯებისა.

მოგება დაბეგვრამდე – საოპერაციო მოგებას გამოკლებული საპროცენტო ხარჯი და დამატებული საპროცენტო შემოსავლები.

წმინდა მოგება – მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ.

გაუნაწილებელი მოგება – არის მოგება, დივიდენდის გაცემისა და რეზერვების გამოკლების შემდეგ.

მომგებიანობის, ანუ რენტაბელობის მაჩვენებელი ფარდობითი სიდიდეა და იგი ახასიათებს მომგებიანობის დონეს პროცენტულად.

მომგებიანობის მაჩვენებლები იყოფა სამ ჯგუფად:

1. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები;

2. ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები;
3. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები;

1. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები შემდეგი ფორმულებით გამოითვლება:

აქტივების მომგებიანობა – გამოსახავს მოგებას, რომელიც მიიღება ერთი ლარ აქტივზე. გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{აქტივების მომგებიანობა} = \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

კაპიტალუკუება (RCOE) – იგივე გამოყენებული კაპიტალის რენტაბელობა, ახასიათებს საკუთარი რესურსებითა და გრძელვადიანი ვალდებულებებით შეძენილი რესურსების მომგებიანობას. გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{კაპიტალუკუება (RCOE)} = \frac{\text{მოგება პროცენტებისა და გადასახადის გადახდამდე}}{\text{საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები}}$$

2. პროდუქციის რენტაბელობის კოეფიციენტები:

ფასნამატი – პროდუქციის თვითღირებულებას დამატებული თანხა, რომელიც საწარმოს სურს, რომ მიიღოს მოგების სახით ერთ პროდუქციაზე. ფასნამატის კოეფიციენტი გვიჩვენებს, პროდუქციაზე გაწეული დანახარჯების რამდენი პროცენტი მოგება მიიღოს საწარმომ. გამოითვლება შემდეგი ფორულით:

$$\text{ფასნამატი} = \frac{\text{მოგება რეალიზაციიდან}}{\text{რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება}} \times 100 \%$$

მოგების მარჟა – პროცენტულად გამოსახავს მოგების იმ რაოდენობას, რომელიც მიღებულია ერთი ლარი შემოსავლიდან.

$$\text{მოგების მარჟა} = \frac{\text{მოგება რეალიზაციიდან}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}} \times 100 \%$$

3. ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტები:

წარმოების მომგებიანობა – ახასიათებს ყველა იმ აქტივის მომგებიანობას, რომლებიც გამოიყენება მზა პროდუქციის შესაქმნელად. გამოისახება შემდეგი ფორმულთ:

$$\text{წარმოების მომგებიანობა} = \frac{\text{საოპერაციო მოგება}}{\text{მატერიალური მარაგები} + \text{ძირითადი საშუალებები}}$$

აქტივების ფინანსური რენტაბელობა (ROA) – გამოსახავს მოგებას აქტივებში ავანსირებულ ყოველ ერთ ლარზე:

$$\text{ფინანსური რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივები}}$$

სააქციო კაპიტალის რენტაბელობა – გამოსახავს შემოსავლის სიდიდეს, რომელსაც იღებს აქციონერი ერთ აქციაზე.

$$\text{სააქციო კაპიტალის რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{სააქციო კაპიტალი}}$$

საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდი – აჩვენებს იმ წლების რაოდენობას, რომელიც ჭირდება საწარმოს, რომ დაფაროს ვალდებულება ინვესტორების მიმართ.

$$\text{საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდი} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{წმინდა მოგება}}$$

სს „თელიანი ველის“ ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები

საერთო მოგება

	<i>2016</i>	<i>2017</i>
საქონლის რეალიზაცია	14 294	19 735
გაყიდული საქონლის თვიღირებულება	(8 507)	(10 161)
საერთო მოგება	5 787	9 574

2017 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია რეალიზებული საქონლისა და თვიღირებულების თანხები. საერთო მოგება კი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 65%-ით.

საოპერაციო მოგება

	<i>2016</i>	<i>2017</i>
საერთო მოგება	5 787	9 574
საოპერაციო ხარჯები	(3 133)	(4 163)
საოპერაციო მოგება	2 654	5 411

2016 წლის ბოლოს საოპერაციო მოგება გამოვიდა 2,654 ლარი, ხოლო 2017 წლის ბოლოს 5,664 ლარი.

წინა წელთან შედარებით, 2017 წელს საოპერაციო ხარჯები გაიზარდა, თუმცა ასევე გაიზარდა საერთო მოგება. აქედან გამომდინარე, საოპერაციო მოგება გაიზარდა 113%-ით 2016 წელთან შედარებით.

მოგება დაბეგვრამდე

	<i>2016</i>	<i>2017</i>
დასაბეგრი მოგება	1 700	5 943

2017 წელს დასაბეგრი მოგება, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია თითქმის 250%-ით.

წმინდა მოგება

	<i>2016</i>	<i>2017</i>
წმინდა მოგება	1 834	5 943

2017 წელს, წინა წელთან შედარებით წმინდა მოგება გაზრდილია 224%-ით. კომპანია საკმაოდ დიდ მოგებაზეა, რაც დადებითი შედეგია.

გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება 2016 და 2017 წლებში ტოლი იყო წმინდა მოგების, რადგან დივიდენდები არ გამოცხადებულა კომპანიაში და არც რეზერვები შექმნილა.

ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები:

აქტივების მომგებიანობა

	<i>2016</i>	<i>2017</i>
დასაბეგრი მოგება	1 700	5 943
მთლიანი აქტივები	56 108	104 829
აქტივების მომგებიანობა	0.03	0.06

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივების მომგებიანობა, ანუ მოგება ერთი ლარის შესაბამის აქტივზე იყო 3 თეთრი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივების მომგებიანობა, ანუ მოგება ერთი ლარის შესაბამის აქტივზე იყო 6 თეთრი. ეს მაჩვენებელი გაზრდილია 3 თეთრით წინა წელთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი აქტივების რაოდენობა 86%-ით გაიზარდა.

აქტივების მომგებიანობა 2016 წლიდან 2017 წლამდე გაიზარდა 3 თეთრით, ანუ 66%-ით, რაც გამოწვეულია მოგების თითქმის 250%-იანი ზრდით.

კაპიტალუკუება

2016 წლის მდგომარეობით:

$$\text{კაპიტალუკუება (RCOE)} = \frac{2,566}{40,883 + 7,611} = 0.05$$

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალუკუგების კოეფიციენტი, ანუ საკუთარი კაპიტალითა და გრძელვადიანი ვალდებულებების 1 ლარით შეძენილი რესურსების მომგებიანობა 5 თეთრი იყო.

2017 წლის მდგომარეობით:

$$\text{კაპიტალუკუგება (RCOE)} = \frac{5,940}{89,157 + 5,175} = 0.06$$

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალუკუგების კოეფიციენტი, ანუ საკუთარი კაპიტალითა და გრძელვადიანი ვალდებულებების 1 ლარით შეძენილი რესურსების მომგებიანობა 6 გახდა.

კაპიტალუკუგების 20%-იანი ზრდა გამოწვეული იყო პროცენტების გადახდამდე მოგების 131%-იანი ზრდით, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი გაიზარდა.

პროდუქციის რენტაბელობის კოეფიციენტები

ფასნამატი

	<i>2016</i>	<i>2017</i>
საქონლის რეალიზაცია	14 294	19 735
გაყიდული საქონლის თვიღირებულება	(8 507)	(10 161)
ფასნამატი	68%	94%

2016 წლიდან 2017 წლამდე საერთო ფასნამატი ყველა ტიპის პროდუქტზე გაიზარდა.

მოგების მარჟა

	<i>2016</i>	<i>2017</i>
საქონლის რეალიზაცია	14 294	19 735
გაყიდული საქონლის თვიღირებულება	(8 507)	(10 161)
საერთო მოგება	5 787	9 574
მოგების მარჟა	40%	49%

2016 წელს მოგების მარჟა გამოვიდა 40%, რაც გულისხმობს, რომ რეალიზაციის 40% იყო მოგება. ხოლო 2017 წელს მოგების მარჟა გამოვიდა 49%, ანუ მოგების წილი მთლიან რეალიზაციაში გაზრდილია, რაც დადებითი შედეგია.

ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტები:

წარმოების მომგებიანობა

	<i>2016</i>	<i>2017</i>
საოპერაციო მოგება	2 654	5 411
ძირითადი საშუალებები	6 772	6 571
მარაგები	5 555	8 682
წარმოების მომგებიანობა	0.22	0.35

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოების მომგებიანობა, ანუ ყველა იმ აქტივის მომგებიანობა, რომელიც გამოიყენება მზა პროდუქციის შექმნაში, შეადგენდა 22 თეთრი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოების მომგებიანობა, ანუ ყველა იმ აქტივის მომგებიანობა, რომელიც გამოიყენება მზა პროდუქციის შექმნაში, შეადგენდა 57 თეთრი.

წარმოების მომგებიანობის კოეფიციენტი გაიზარდა 159%-ით, რაც გამოწვეული იყო საოპერაციო მოგების 113%-იანი ზრდით, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების რაოდენობაც გაიზარდა.

აქტივების ფინანსური რენტაბელობა (ROA)

2016 წლის მდგომარეობით:

$$\text{ფინანსური რენტაბელობა} = \frac{2,654}{56,108} = 0.047$$

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივების ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტი, ანუ მოგება აქტივებში ავანსირებულ ყოველ ერთ ლარზე იყო 0.047 ლარი.

2017 წლის მდგომარეობით:

$$\text{ფინანსური რენტაბელობა} = \frac{5,664}{104,829} = 0.054$$

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივების ფინანსური რენტაბელობის

კოეფიციენტი, ანუ მოგება აქტივებში ავანსირებულ ყოველ ერთ ლარზე იყო 0.054 ლარი.

აქტივების ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტი გაიზარდა თითქმის 15%-ით, რაც გამოწვეული იყო საოპერაციო მოგების 113%-იანი ზრდით, მიუხედავად იმისა, რომ ამავდროულად მთლიანი აქტივების რაოდენობაც გაიზარდა.

სააქციო კაპიტალის რენტაბელობა

კომპანიას რენტაბელობის კოეფიციენტი 2016 და 2017 წლის ბოლოს იყო შემდეგი:

	<i>2017</i>	<i>2016</i>
წლიური მოგება	5 943	1 834
ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	408 625 000	197 642 200
სააქციო კაპიტალის რენტაბელობა	0.0000145	0.0000093

გამოდის, რომ ერთ აქციაზე მიღებული შემოსავალი გაიზარდა 156%-ით, რაც გამოწვეულია მოგების ზრდით, მიუხედავად იმისა, რომ ამავდროულად გაიზარდა ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა.

3.4 სს „თელიანი ველის“ საქმიანი აქტივობის შეფასება

საწარმოს საქმიანი აქტივობის შეფასება მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ ტიპის აქტივობები უზრუნველყოფს საწარმოს გამართულად ფუნქციონირებას, შესაბამისად, მომგებიანობასა და გადახდისუნარიანობას.

საწარმოს დაარსებისას ფულადი სახსრების დაბანდება ხდება ძირითად საშუალებებსა და საბრუნავს რესურსებში, რომელიც მოიცავს: ფულადი სახსრებსა და მათი ეკვივალენტებს, მარაგებს, დებიტორული დავალიანებებს, გაცემულ ავანსებს, წინასწარ გაწეულ ხარჯებსა და მოკლევადიან ინვესტიციებს. იმისათვის, რომ საწარმომ შეუფერხებლად იფუნქციონიროს საჭიროა, საბრუნავი საშუალებების გარკვეული რაოდენობა მუდმივად არსებობდეს, თუმცა, ამავდროულად, საწარმოს მეწილეები მოტივირებული არიან რაც შეიძლება სწრაფად გადაიქცეს კვლავ ფულად მათ მიერ საბრუნავ საშუალებებში დაბანდებული ფული. ეს მიდგომა სწორია, რადგან საბრუნავი საშუალებების კვლავ ფულად გადაქცევა საწარმოს საშუალებას აძლევს კვლავ დააბანდოს ეს ფული და მიიღოს ახალი შემოსავალი, დაფაროს კრედიტორული დავალიანებები და განახორციელოს სხვა ბიზნეს ოპერაციები.

საქმიანი აქტიურობის ანალიზის ამოცანაა შეისწავლოს საწარმოს ავანსირებული სახსრების ბრუნვადობა და გამოავლინოს მათ სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები, გამონახოს ფულადი ნაკადების სტაბილიზაციის გზები. გარდა ამისა, ანალიზის მიზანია იზრუნოს სახსრების ბრუნვადობის დააჩქარებაზე, რაც არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზაა.

საწარმოს საქმიანი აქტივობის ანალიზისთვის გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

- **საბრუნავი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი** – გამოსახავს თუ რამდენად ეფექტურად იყენებს საწარმო მიმდინარე აქტივებში ავანსირებულ კაპიტალს შემოსავლის მისაღებად. ამ კოეფიციენტს შემდეგი სახე აქვს:

$$\text{საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის კოეფიცი.} = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{საშუალო საბრუნავი საშუალებები}}$$

რაც უფრო დიდია ეს კოეფიციენტი, მით უფრო ეფექტურად ასრულებს საწარმოს მენეჯმენტი თავის მოვალეობას – მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების სწორი გამოყენების შედეგად გამოიმუშავებს მაღალ შემოსავლებს. ამ კოეფიციენტის სიმცირე კი მიანიშნებს, რომ საწარმო მიმდინარე აქტივებში ავანსირებული აქვს დიდი თანხები, თუმცა იღებს მცირე შემოსავალს, ეს კი გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს ფინანსურ კრიზისს.

მარაგების ბრუნვადობა დღეებში – გამოსახავს დღეების რაოდენობას, რომელიც ჭირდება მარაგს დანახარჯში გადასასვლელად. რაც უფრო დიდია ეს კოეფიციენტი, მით უფრო უარყოფითი მნიშვნელობისაა ის. მისი სიდიდე ნიშნავს, რომ მარაგი დიდი ხნით ინახება საწყობში, შესაბამისად მეტია მისი შენახვისთვის გაწეული ხარჯები. ამ კოეფიციენტს შემდეგი სახე აქვს:

$$\text{მარაგების ბრუნვადობა დღეებში} = \frac{\text{საშუალო მარაგი} * 365}{\text{რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება}}$$

საბრუნავი საშუალებების დიდ ნაწილს წარმოადგენს დებიტორული დავალიანებები. მათი დროული მიღება უზრუნველყოფს საწარმოს მომარაგებას ფულადი საშუალებებით, რაც იძლევა საშუალებას განხორციელდეს მათი ხელახალი ავანსირება მარაგებში, შემდგომი შემოსავლების მიღების მიზნით. ამიტომაც საჭიროა დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობისა და ამოღების ანალიზი. ამ მიზნით გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

დებიტორული დავალიანების ამოღების კოეფიციენტი – აჩვენებს იმ დროის მონაკვეთს, რომელიც ჭირდება კრედიტით გაყიდვების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნების ამოღებას.

$$\text{დებიტ. დავალ. ინკასაცია} = \frac{\text{დებიტორული დავალიანების საშუალო ნაშთი}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}} * 365$$

საწარმოს საოპერაციო საქმიანობის შეფასებისას აუცილებელია, საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობის შეფასება.

საოპერაციო ციკლის ეტაპებია:

1. სავაჭრო ვალდებულებების აღება და ნედლეული მასალების შეძენა;
2. მასალების დამუშავება და დაუმთავრებელი პროდუქციის წარმოება;
3. მზა პროდუქციის წარმოება;
4. მზა პროდუქციის გაყიდვა და სავაჭრო მოთხოვნების წარმოქმნა;
5. ნაღდი ფულის მიღება.

ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოში საოპერაციო ციკლის ეტაპები, მუდმივად, ციკლურად მეორდება. სწორედ საოპერაციო ციკლის საშუალებით ხდება საწარმოში შემოსავლების გენერირება, ამიტომაც მნიშვნელოვანია მისი ხანგრძლივობის შეფასება:

საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა	=	მატერიალური მარაგების ბრუნვის პერიოდი დღეებში	+	დებიტორული დავალიანების ამოღება დღეებში
-----------------------------------	---	--	---	--

საოპერაციო ციკლი არის საწარმოს მიერ ფულის ამოღების პროცესის ხანგრძლივობა.

სს „თელიანი ველის“ საქმიანი აქტივობის შეფასების კოეფიციენტები

საბრუნავი სახსრების ბრუნვის კოეფიციენტი

	<i>2016</i>	<i>2017</i>
საქონლის რეალიზაცია	14 294	19 735
საშუალო სსს	12 599	13 890
საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის კოეფიციენტი	1.12	1.59

2016 წლის ბოლოს საბრუნავი სახსრების ბრუნვის კოეფიციენტი გამოვიდა 1.12 რაც საკმაოდ დაბალია. 2017 წლის ბოლოს კი ეს კოეფიციენტი გაიზარდა და გახდა 1.59 რაც გულისხმობს, რომ საბრუნავი საშუალებები უფრო ბერჯერ ჩაეშვა რეალიზაციაში.

დებიტორული დავალიანების ამოღების რიცხვი წელიწადში

	<i>2016</i>	<i>2017</i>
დებიტორული დავალიანების ამოღების რიცხვი წელიწადში	3	3

დებიტორული დავალიანებების ინკასაციის (ამოღების) პერიოდი

	<i>2016</i>	<i>2017</i>
საშუალო დებიტორული დავალიანება	5 100	7 166
რეალიზაციიდან შემოსავალი	14 294	19 735
დებიტორული დავალიანების ინკასაცია დღეებში * 365	130	133

2016 წლის ბოლოს დებიტორული დავალიანებების ამოღებას ჭირდებოდა 130 დღე. ხოლო 2017 წლის ბოლოს ჭირდებოდა 133 დღე. 3 დღით გაიზარდა დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი, რაც უარყოფითი შედეგია, თუმცა უმნიშვნელო.

მატერიალური მარაგების ბრუნვის რიცხვი

	<i>2016</i>	<i>2017</i>
თვითღირებულება	8 507	10 161
საშუალო მარაგები	6 440	7 119
მატერიალური მარაგების ბრუნვის რიცხვი	1.32	1.43

2016 წლის განმავლობაში მატერიალური მარაგები 1.32-ჯერ დატრიალდა წარმოებაში, ხოლო 2017 წლის განმავლობაში კი 1.43-ჯერ, რაც ნიშნავს რომ სიჩქარე გაიზარდა.

მატერიალური მარაგების ბრუნვის რიცხვი დღეებში

	<i>2016</i>	<i>2017</i>
მატერიალური მარაგების ბრუნვის რიცხვი დღეებში * 365	277	255

2016 წლის ბოლოს მარაგების ბრუნვა დღეებში გამოვიდა 277 დღე. 2017 წლის ბოლოს კი მარაგების ბრუნვა გამოვიდა 255 დღე. წინა წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი შემცირებულია, რაც ნიშნავს, რომ მარაგი უფრო სწრაფად რეალიზდება.

საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა დღეებში

	<i>2016</i>	<i>2017</i>
მარაგების ბრუნვის რიცხვი დღეებში * 365	130	133
მატერიალური მარაგების ბრუნვის რიცხვი დღეებში * 365	277	255
საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა დღეებში	407	388

2017 წელს საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა შემცირდა, რაც დადებითი მოვლენაა.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომი დაყოფილია ორ ნაწილად - თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. თეორიული ნაწილი მოიცავს ყველა საჭირო მასალას, რომელიც გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების ანალიზის პროცესში, ხოლო პრაქტიკულ ნაწილში გაანალიზებულია სააქციო საზოგადოება „თელიანი ველის“ 2017 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება.

თეორიული ნაწილის პირველი ეტაპი მოიცავს ინფორმაციას:

- ფინანსური ანგარიშგების არსისა და მიზნების შესახებ;
- ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და ელემენტების შესახებ;
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პრინციპებისა და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ.

აღნიშნული საკითხების განხილვა აუცილებელი იყო ფინანსური ანალიზისთვის საჭირო თეორიის უკეთ აღსაქმელად. ფინანსური ანგარიშგების ანალიზისთვის საჭირო თეორიული მასალა მოიცავს:

- ფინანსური ანალიზის არსის, მიზნებისა და მეთოდების განხილვას.
- ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტების განმარტებას ეკონომიკური შინაარსისა და მათემატიკური ფორმულების გამოყენების მეშვეობით. კოეფიციენტური ანალიზის მიზანია საწარმოს ლიკვიდურობის, ფინანსური სტაბილურობის, საქმიანი აქტივობისა და მომგებიანობის შეფასება.

წარმოდგენილი თეორიის დახმარებით, შესაძლებელი გახდა, პრაქტიკულ ნაწილში, სააქციო საზოგადოება „თელიანი ველის“ 2017 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შეფასება.

პირველ ეტაპზე ჩატარდა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზი. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ 2017 წელს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესებულია წინა წელთან შედარებით, რაც გამომდინარეობს მთლიანი აქტივების ზრდით, კაპიტალში დამატებითი შენატანების განხორციელებით და ვალდებულებების შემცირებით.

შემდეგ ეტაზე ჩატარდა კოეფიციენტური ანალიზი რათა შეფასებულიყო კომპანიის ლიკვიდურობა, ფინანსური სტაბილურობა, საქმიანი აქტივობა და მომგებიანობა.

ლიკვიდურობის მხრივ კომპანიას გააჩნდა საკმაოდ კარგი მდგომარეობა და ამავდროულად ლიკვიდურობის მაჩვენებლები ბოლო სამი წლის განმავლობაში უმჯობესდებოდა.

ფინანსური სტაბილურობის შეფასებისას გაირკვა, რომ კომპანიას სამივე საანგარიშგებო წელს გააჩნდა აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა. ამას კარდა საკუთარი კაპიტალი ყოველწლიურად იზრდებოდა დამატებითი შენატანების ხარჯზე, ამავდროულად, მცირდებოდა მთიანი ვალდებულებების წილი კაპიტალსა და ვალდებულებებში. აღნიშნულმა მოვლენებმა კი გამოიწვია ის, რომ კომპანია სულ უფრო მეტად ხდებოდა ფინანსურად დამოუკიდებელი.

მომგებიანობის შეფასების შედეგად, ნათლად წარმოჩინდა რომ 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა მოგების ყველა დონე და მოგების მარჟა, რამაც გამოიწვია აქტივების მომგებიანობის ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ აქტივების რაოდენობა თითქმის გაორმაგდა. ასევე გაიზარდა კაპიტალუკუების, წარმოების მომგებიანობის და ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტები. ასეთი შედეგებიდან გამომდინარე, გაიზარდა სააქციო კაპიტალის რენტაბელობა, მიუხედავად ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რეოდენობის ზრდისა.

საქმიანობის აქტივების შეფასებისას ცალსახა დადებითი, ან უარყოფითი შედეგი არ გამოვლინდა. დადებითი მიმართულებით შეიცვალა სსს ბრუნვადობის კოეფიციენტი, მარაგების ბრუნვის რიცხვი კოეფიციენტურად და დღეებში. დადებითი მიმართულებით შეიცვალა ასევე საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა დღეებში.

უარყოფითი მიმართულებით შეიცვალა დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდი, თუმცა ეს ცვლილება უმნიშვნელო იყო.

მთლიანობაში საქმიანი აქტივობის შეფასებისას შესაძლებელია ითქვას, რომ კომპანია ნორმალურად ართმევს თავს თავის აქმიანობას.

რეკომენდაციები

კვლევის ავტორი გაცემს შემდეგი ტიპის რეკომენდაციებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის აგასაუმჯობესებლად. მიზანშეწონილია, რომ კომპანიამ:

- იზრუნოს დებიტორული დავალიანებების ინკასაციის სიჩქარის გაზრდაზე, რაც უზრუნველყოფს ფულადი ნაკადების უფრო სწრაფად შემოდინებას.
- იზრუნოს მომგებიანობის ზრდაზე, რათა კაპიტალში დამატებითი შენატანების განხორციელება აღარ გახდეს საჭირო.
- გაზარდოს მარაგების ბრუნვის სიჩქარე, რათა სწრაფად განხორციელდეს მათი რეალიზაცია.
- შეეცადოს ბაზრის წილის გაფართოებასა და გაზარდოს ექსპორტზე გასატანი საქონლის მოცულობა. ამავდროულად უნდა იზრუნოს ალკოჰოლური სასმელების ხარისხის გაუმჯობესებზე და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებაზე.
- განახორციელოს გონივრული ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში მომგებიანობის გაზრდის მიზნით.
- კრედიტორული დავალიანებები სწრაფად იქნას დაფარული.

სოფლის მეურნეობის დარგში მოღვაწეობა მოითხოვს იმ ეკოლოგიური რისკების გათვალისწინებას, რომელიც შესაძლოა ყოველ წელს წარმოიშვას. აქედან გამომდინარე, კომპანია მუდმივად მზად უნდა იყოს დამატებითი განუსაზღვრელობებისთვის.

**დანართი – სს „თელიანი ველის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017**

	<i>2015</i>	<i>2016</i>	<i>2017</i>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირთადი საშუალებები	7 475	6 772	6 571
არამატერიალური აქტივები	75	187	171
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	1 110	29 032	72 165
გადახდილი ავანსები	-	99	49
სულ გრძელვადიანი აქტივები	8 660	36 090	78 956
მოკლევადიანი აქტივები	-		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7 325	5 555	8 682
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები	4 018	6 181	8 151
წინასწარ გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	301	354	-
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	158	173	312
გაცემული სესხები	1 539	2 586	1 108
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	2 375	3 296	4 381
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2 619	1 873	3 239
სულ მიმდინარე აქტივები	18 335	20 018	25 873
სულ აქტივები	26 995	56 108	104 829
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი	771	2 771	5 200
დამატებითი შენატანები კაპიტალში	12 958	38 846	78 748
გაუნაწილებელი მოგება/ (აკუმულირებული ზარალი)	(2 568)	(734)	5 209
სულ კაპიტალი	11 161	40 883	89 157
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტული სესხები და გადასახდელი ანგარიშები	9 605	7 611	5 175
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	688	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	10 293	7 611	5 175
მოკლევადიანი ვალდებულებები	-		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1 273	1 905	2 098
მოგების გადასახადის დავალიანება	607	685	-
საგადასახადო დავალიანება, მოგების გადასახადის გადახდა	-	-	288
პროცენტული სესხები და გადასახდელი ანგარიშები	3 143	4 657	7 813
მიღებული ავანსები	-	142	95
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	518	225	203
სულ მიმდინარე ვალდებულებები	5 541	7 614	10 497
სულ ვალდებულებები	15 834	15 225	15 672
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	26 995	56 108	104 829

**დანართი – სს „თელიანი ველის“ მოგება-ზარალისა და სხვა სრული
შემოსავლის ანგარიშგება 2017**

	2017	2016
საქონლის რეალიზაცია	19 735	14 294
გაყიდული საქონლის თვიღირებულება	(10 161)	(8 507)
საერთო მოგება	9 574	5 787
ბიოლოგიური პროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძაობა	253	-
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(1 172)	(686)
ადმინისტრაციული ხარჯები	(2 749)	(2 257)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(242)	(190)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი	5 664	2 654
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(997)	(866)
ფინანსური შემოსავალი	524	353
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	752	(379)
სხვა არასაოპერაციო დანაკარგები	-	(62)
დასაბეგრი მოგება	5 943	1 700
მოგების გადასახადის სარგებელი	-	134
წლის მოგება	5 943	1 834
სხვა სრული შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	5 943	1 834
მოგება ერთ აქციაზე:		
საბაზისო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე	0.0000145	0.0000093

დანართი – სს „თელიანი ველის“ კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2017

	სააქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	გაუნაწილებელ მოგება/ (აკუმულირებული ზარალი)	სულ
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	771	12 958	(2 568)	11 161
წლის მოგება	-	-	1 834	1 834
სააქციო კაპიტალის გამოშვება	2 000	25 916	-	27 916
გარიგების დანახარჯები	-	(28)	-	(28)
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 771	38 846	(734)	40 883
წლის მოგება	-	-	5 943	5 943
სააქციო კაპიტალის გამოშვება	2 429	39 902	-	42 331
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5 200	78 748	5 209	89 157

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმოქცევაში გამოშვებული აქციების 3%-ზე მეტი წილის მფლობელი აქციონერები ჩამოთვლილია ქვემოთ. დანარჩენი აქციონერებიდან თითოეული 3%-ზე ნაკლებს ფლობდა

აქციონერები	2017 %	2016 %
სს "ჯორჯია კაპიტალ" (ყოფილი სს "ბიჯეო ინვესტმენტს")	47.57	23.67
სს "ლიბერთი კონსიუმერი"	28.06	47.75
შპს "ფაიერბერდ რიპაბლიკს ფონდი"	10.06	11.63
შპს "ფაიერბერდ ავრორა ფონდი"	8.57	15.16
კს "ფაიერბერდ ავრორა ფონდი"	4.29	-
საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული აქციები	0.27	0.74
სხვა	0.73	1.05
	100	100

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრები კომპანიის 1,852,591 (0.36%) აქციას ფლობენ (2016 წ.: 1,830,111 აქცია (0.66%)).

2016 და 2017 წლების განმავლობაში კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენდა შპს „ბიჯეო გრუფი“, ხლო 2018 წელს, კომპანიის გლობალური საბოლოო მაკონტროლებელი მხარის რეორგანიზაციის შედეგად, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე გახდა შპს „ჯორჯია კაპიტალი“.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააქციო კაპიტალი მოიცავდა 520,000,000 ზვეულბრივ აქციას (2016 წ.: 400,000,000; 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 280,000,000), რომელიც გამოშვებული და სრულად გადახდილი იყო (2016 წ.: 277,094,255; 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით: 77,094,255). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.00001 ლარი.

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოუშვა 2,429 ლარის ნომინალური ღირებულების აქციებიდა 39,902 ლარის ღირებულების დამატებითი შენატანილი კაპიტალი (2016 წ.: 2,000 ლარის ნომინალური ღირებულების აქციები და 25,916 ლარის ღირებულების დამატებით შენატანილი კაპიტალი) თავის არსებულ აქციონერებზე. აღნიშნულის მთავარი მიზანი იყო საკუთარ შვილობილ კომპანიაში, შპს „გლობალ ბიერ ჯორჯიაში“ ინვესტიციის განხორციელება ლუდის წარმოების პროექტის დაფინანსებისთვის.

აქციონერებმა კომპანიის სააქციო კაპიტალი მთლიანად ლარში გადაიხადეს და მათ უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდები ლარში. 2017 და 2016 წლებში დივიდენდები არ გაცემულა და არ გამოცხადებულა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფინანსური ანალიზი (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი) 2011 – იზოლდა ჭელიძე
2. ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებში – ე. ლოსმაძე; ც. მიქელაძე; ე.წამალაშვილი
3. ეკონომიკური ანალიზი – გ.ტყემელაშვილი; ქ.კიწმარიშვილი; თ. კილაძე; ტ.ქოქოლაძე
4. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები 2010 – ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო.
5. ბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“
6. ბასს 7 – „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“
7. ACCA – F7
8. ACCA – F3
9. Financial Statement Analysis – Martin Fridson; Fernando Alvarez
10. Financial Statement Analysis – K.R Subramanyam
11. FINANCIAL ANALYSIS AND BUSINESS VALUATION – The Institute of Cost accountatns of India (Paper 20)
12. Analyzing Financial Statements – Javkhant Ganbaatar
13. Financial Ratios – Pamela Peterson Drake
14. Financial Analysis Tools and Techniques (A GUID FOR MANAGERS) – Erich A. Helfert
15. Financial Statement Discussion and Analysis – Internatonal Public Sector Accounting Standards board
16. დისერტაცია – ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში – ანა ჩეჩელაშვილი
17. Financial Ratios Tutorial - <http://www.investopedia.com/university/ratios/landing.asp>
18. Financial Ratio Cheatsheet – www.myaccountingcourse.com
19. <https://www.aaii.com/journal/article/16-financial-ratios-for-analyzing-a-companys-strengths-and-weaknesses>
20. <https://www.accountingverse.com/managerial-accounting/fs-analysis/financial-ratios.html>
21. <https://www.investopedia.com/terms/r/ratioanalysis.asp>
22. <https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/finance/financial-ratios/>
23. <https://wealthyeducation.com/financial-ratio-categories/>
24. <https://www.educba.com/my-courses/wallstreetmojo/>
25. https://www.medgeo.net/2012/02/20/finansuri_analizi-2/